ლელო

№ 57
(11017)

18 - 20 სექტემბერი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

GENS UNA SUMUS

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე

გუშინ ერევნის ციცარნაკაბერდის დიდ სპორტულ კომპლექსში დაიწყო ვაჟთა 32-ე და ქალთა მე-17 საჭადრაკო ოლიმპიადები

საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი. გახსნა საკმაოდ შეფერხდა, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო მიღებული საბოლოო ცნობა ზოგიერთი ქვეყნის მონაწილეობის შესახებ. ბოლო მომენტში თამაშზე უარი განაცხადა ოთხმა ნაკრებმა, მათ შორის აზერბაიჯანის გუნდმა. გამოცხადდა, რომ ბრძოლაში ებმება ვაჟთა 127 და ქალთა 82 ნაკრები, ამასთან სომხებს, როგორც ოლიმპიადის ორგანიზატორებს, ორი გუნდის გამოყვანის უფლება მიეცათ.

საქართველოს ქალთა ნაკრებს პირველ ტურში სწორედ სომხეთის მეორე გუნდთან მოუხდა შეხვედრა. იგი სრულიად ახალგაზრდა ოსტატებისაგან არის დაკომპლექტებული, მაგრამ გუნდის წევრებმა უკვე მოასწრეს საბრძოლო წრთობის მიღება – მაისში დიდოსტატ პენრიხ კასპარიანის მემორიალში მონაწილეობდნენ, ქართველ მოჭადრაკეთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მაინც დიდი ენერგი-

იხ. მე-2 გვ.

წმინდა სამების მადლი შეგეწიოთ!

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ერევანში გამგზავრების წინ საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრებმა გუნდმა (ქალები და ვაჟები), წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა მოინახულეს და მის ფონდში 1215 ლარი შეიტანეს.

დიდი ბრძოლა პრეზიდენტის სავარძლისათვის

ამ დღეებში ერევანში საერთაშორისო ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს გაიმართება საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდეს) პრეზიდენტის არჩევნები. ახლა მდგომარეობა ამ ფედერაციაში მეტად დაძაბულია და პრეზიდენტის სავარძლისათვის დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

აი, ერთი განაცხადი, რომელსაც საჭადრაკო ტერმინოლოგიით „პრეზიდენტის ბილეთი" ეწოდება. იგი დიდოსტატ ხაიმე ხუნიეს ნეტოს ეკუთვნის და ფიდეს ხელმძღვანელობის ასეთ შემადგენლობას გვთავაზობს: პრეზიდენტი — ხაიმე ხუნიე ნეტო (ბრაზილია). პრეზიდენტის მოადგილეები ეინარ ეინარსონი (ისლანდია), ნურედინ ტაბანი (ტუნისი), ვიცე-პრეზიდენტები (ამ თანამდებობებზე ფიდეს ტრადიციის თანახმად აუცილებლად უნდა იყვნენ უდიდესი ეროვნული ფედერაციების გერმანიის, აშშ-ს და რუსეთის წარმომადგენლები, თუმცა ამ აზრს ყველა არ ეთანხმება, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით) ეგონ დიტი (გერმანია), სტივენ დოილი (აშშ), ანდრეი მაკაროვი (რუსეთი), გენერალური მდივანი ემანუელ ომუკუ (ნიგერია), მთავარი ხაზინადარი გიუნტერ ლოვეენტალი (ჰოლანდია).

აი, რას წერს პრეზიდენტობის კანდიდატი ხაიმე ხუნიე ნეტო: „პარიზში, ფიდეს 66-ე კონგრესის დახურვისას გამოითქვა აზრი, რომ რამდენიმე მძიმე წლის შემდეგ, ფიდეში თანხმობას მივაღწიეთ. ბოლო 8 თვის მოვლენებმა დაადასტურა, რომ ეს ასე არ არის. ჩვენი სუსტი ორგანიზაცია კვლავ ზიანდება გათიშულობით, სხვადასხვა შეხედულებებით. უნდა მივიღოთ ღონისძიებები ჩვენი საერთო ინტერესების დასაცავად...

მეტისმეტ შეშფოთებას იწვევს ფიდეში შექმნილი ფინანსური სიტუაცია. დღეს ფიდეში არსებობს მთელი ისტორიის მანძილზე, ბიუჯეტის დეფიციტი 19

იხ. მე-2 გვ.

ტანვარჯიში. ინტეგრაცია გრძელდება

საქართველოს სპორტსმენთა ინტეგრაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნებისა და ბოსფორის სრუტის პირველობებში გრძელდება. ბოსფორის სრუტის XI საერთაშორისო შეჯიბრებას ტანვარჯიშში სტამბულმა უმასპინძლა. საქართველოდან მონაწილეობდა ორი გოგონა და 3 ვაჟი. ილია გიორგაძემ მრავალჭიდში მოიპოვა აბსოლუტური პირველობა, მეორე ოქროს მედალი კი ღერძზე ვარჯიშში ხვდა. მანვე მესამე შედეგით დაამთავრა ასპარეზობა ორძელზე და ტაიჭზე ვარჯიშში. მეორე თბილისელი ალექსანდრე თვაური მესამე იყო თავისუფალ ვარჯიშში.

ამის შემდეგ ასევე ტანვარჯიშში შავი ზღვის აუზის პირველობა ჩატარდა რუმინეთში. გიორგაძემ აქ თავისუფალ ვარჯიშში იმარჯვა, ტაიჭზე კი I-II ადგილები გაიყო. თვაურმა ბრინჯაოს მედალი მოიგო ღერძზე ვარჯიშში. იქვე დაწყვილებულთა პირველობაში, რომელიც მოეწყო, როგორც ექსპერიმენტი, 14 გუნდში გიორგაძე – მარია ხომიაკოვას (ბათუმი) წყვილი VII ადგილზე გავიდა. თვაურ – ეთერ დიასამიძის დუეტმა კი VIII ადგილი დაიკავა.

ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა და დელეგაციის ხელმძღვანელმა როინ პასიკაშვილმა.

«ტორპედო» (ქუთაისი) – «დინამო» (თბილისი) 2-4 (1-2)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 15 სექტემბერი.
„ტორპედო" ხელაძე. შეყრილაძე. თურმანიძე. რუხაძე. სადილიანი. ჯინჭარაძე. კვეტენაძე. შენგელია (ვ. გიგიაძე. 60). გ. მეგრელაძე. აშვეთია. ვაჩიბერაძე (მ. მეგრელაძე. 74).
„დინამო": ჭანტურია. კალაძე. ლობჟანიძე. კუდინოვი. მაჭავარიანი. გოგიჩაიშვილი. ინალიშვილი. ცქიტიშვილი (კერძევაძე. 46). ხომერიკი (დიდავა. 76). ანჩაბაძე (ზ. ჯელაძე. 58). დემეტრაძე.
გოლები: ხომერიკი (8). დემეტრაძე (18. პენალტით. 48.87). აშვეთია (35). გ. მეგრელაძე (81. პენალტი).
მსაჯი ო. გუნთაძე (ლანჩხუთი) გააფრთხილეს. სადილიანი. ლობჟანიძე. კალაძე.

ქუთაისელი ფეხბურთის მოყვარულები გულთბილად მიესალმნენ უეფა-ს თასის გათამაშებაში მოსკოვის „ტორპედოსთან" პირველ შეხვედრაში გამარჯვებულ დინამოელებს. ქუთაისის გუნდი ახლა ის არ არის, თუნდაც შესუსტებულ „დინამოს" (სტუმრები რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე გამოვიდნენ მოედანზე) რომ რაიმე პრობლემა შეუქმნას.

თბილისელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს თამაშის სადავეები, ჩვეული სიდინჯით აკონტროლებდნენ ბურთს. იგრძნობოდა, რომ მათ ნებისმიერ წუთს შეეძლოთ თამაშის გამწვავება, მაგრამ ამას ეპიზოდურად აკეთებდნენ. პირველი ბურთი დემეტრაძის კუთხურის შემდეგ გავიდა. ტორპედოელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ხელაძემ ერთხელ კი მოიგერია ბურთი, მაგრამ ხომერიკის ახლო მანძილიდან დარტყმულს ვერაფერი უყო. ათიოდე წუთში ქუთაისელთა მცველებმა უხეშად ითამაშეს დემეტრაძის წინააღმდეგ და თვით დაზარალებულმა უნაკლოდ, ჩელებაძის სტილში შეასრულა პენალტი. ტორპედოელები იშვიათად უტევდნენ. ერთადერთი, ვინც დინამოელებთან შებრძოლებას ცდილობდა, აშვეთია გახლდათ. სწორედ მის გარღვევას მოჰყვა გოლი. აშვეთია მარცხენა ფრთიდან სწრაფად შეიჭრა „დინამოს" საჯარიმოში და მეკარისაგან მარცხენა კუთხეში დაარტყა, ჭანტურიაც იმ მხარეს გადახტა, მაგრამ ბურთი მაჭავარიანს მოხვდა და ცარიელ კუთხეში აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ ყველაზე შესამჩნევი ფიგურა მოედანზე დემეტრაძე იყო. მან კიდევ ორი ბურთი გაიტანა პარტნიორების დახმარებით და ამ მატჩში ჰეთ-თრიკიც შეასრულა, ამასთან, დინამოელთაგან საუკეთესო მოთამაშისათვის დაწესებული სპეციალური პრიზიც (100 ლარი) დაიმსახურა. რაც შეეხება ქუთაისელთა მეორე გოლს, ის 11- მეტრიანიდან გავიდა. ზ. ჯელაძემ თავის საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერა უფროსი მეგრელაძე. მამის წაქცევისათვის შვილმა იყარა ჯავრი, მაგრამ რა?..

„ტორპედომ შვიდ ტურში ოთხჯერ იწვნია მარცხი, ასეთი უხეირო სტარტი ეროვნულ ჩემპიონატში მას არ ჰქონია.

იუზა კაციტაძე
„ლელოს" საკ. კორ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი VII ტური. 15-16 სექტემბერი

„ხამტრედია"		—	„ხამგურალი"	(წყალტუბო)	4-1
„მეტალურგი"	(რუსთავი)	—	„კოლხეთი-1913"	(ფოთი)	2-4
„ტორპედო"	(ქუთაისი)	—	„დინამო"	(თბილისი)	2-4
„დილა"	(გორი)	—	„მერანი-91"	(თბილისი)	1-2
„სიონი"	(ბოლნისი)	—	„კახეთი"	(თელავი)	2-0
„ივერია"	(ხაშური)	—	„გურია"	(ლანჩხუთი)	2-0
„ოდიში"	(ზუგდიდი)	—	„შევარდენი-თხუ"	(თბილისი)	2-0
„დინამო"	(ბათუმი)	—	„მარგვეთი"	(ზესტაფონი)	4-1

აი, როგორ გამოიყურება დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა:

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო"	(თბილისი)	5	5	0	0	24-4	15
„დინამო"	(ბათუმი)	5	5	0	0	21-1	15
„კოლხეთი-1913"	(ფოთი)	7	5	0	2	19-10	15
„გურია"	(ლანჩხუთი)	7	4	1	2	10-14	13
„მარგვეთი"	(ზესტაფონი)	6	4	0	2	11-6	12
„მერანი-91"	(თბილისი)	7	4	0	3	13-10	12
„ოდიში"	(ზუგდიდი)	7	3	1	3	10-5	10
„სიონი"	(ბოლნისი)	7	3	0	4	7-5	9
„დილა"	(გორი)	7	2	3	2	5-4	9
„ივერია"	(ხაშური)	7	2	2	3	4-9	8
„ტორპედო"	(ქუთაისი)	7	2	1	4	13-16	7
„მეტალურგი"	(რუსთავი)	7	2	0	5	15-22	6
„ხამტრედია"		7	2	0	5	8-18	6
„ხამგურალი"	(წყალტუბო)	7	2	0	5	5-18	6
„კახეთი"	(თელავი)	7	2	0	5	3-21	6
„შევარდენი-თხუ"	(თბილისი)	6	1	2	3	5-10	5

იხ. მე-4 გვერდი

ძნელი ხვედრია მწვრთნელობა • ივანოვი „დაზოლმილია" • შეძლევა ლობანოვსკი ქუვეიტს? • „კამაზის" თავკაცი გადადგა – რა ეშველება ჯიშკარიანს?

უეფას გათამაშების მატჩში თბილისის „დინამოსთან" განცდილმა მარცხმა უარყოფითად იმოქმედა მოსკოვის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის ვალენტინ ივანოვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. როგორც შევიტყვეთ, მან გულისჯავრი გუნდის რიგით მწვრთნელებზე იყარა. კერძოდ, გადაეყიდა ვადიმ ნიკონოვს, რომელიც დაადანაშაულა მინდობილი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაში.

როგორც გულშემატკივრებმა იციან, ნიკონოვი „დაზვერვაზე" იყო საქართველოში, სადაც ინფორმაციას აგროვებდა დინამოელთა გუნდის შესახებ. იგი დაესწრო თბილისელთა გასვლით მატჩს რუსთავის „მეტალურგთან", თუმცა, როგორც ზოგიერთ ქართველ ჟურნალისტს მოეჩვენა, მეტად ნაბახუსევად გამოიყურებოდა...

მოკლედ, ივანოვმა ნიკონოვს უსაყვედურა, დინამოელი ფეხბურთელების შესაძლებლობები არასწორად შეაფასეო, რის გამოც „ტორპედოს" მოთამაშეები არასერიოზულად მიუდგნენ მოსკოვის მატჩსო.

ამბობენ, რომ ნიკონოვი ახლა უკვე სხვა სამსახურს ეძებს.

* * *

კიევის „დინამოს" პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ კლუბის საერთაშორისო განყოფილების უფროსს მიხეილ ოშემკოვს ლაევალა მოლაპარაკება ვალერი ლობანოვსკისთან – „დინამოს" დირექტორატს სურს მოიწვიოს იგი მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

შეგახსენებთ, რომ ლობანოვსკი ამჟამად ქუვეიტის ნაკრებს თავკაცობს. კონტრაქტი ცნობილ უკრაინელ სპეციალისტს წლის ბოლოს უმთავრდება.

* * *

ოფიციალურად გამოაცხადა თავისი გადადგომის შესახებ რუსეთის უმაღლესი ლიგის „კამაზის" მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ჩეტვერიკმა, ვისი ხელმძღვანელობითაც თავის დროზე ამ კლუბში უთამაშიათ ახრიკ ცვეიბას, მიხეილ ჯიშკარიანს, იური გაბისკირიას, სოსო ჭედიას.

ამჟამად „კამაზში" ჩვენი ლეგიონერებიდან მხოლოდ ჯიშკარიანიღა შემორჩა. როგორი თვალით შეხედავს მას ახალი მწვრთნელი?

ხომ არ მოუწევს მიხეილს ახალი კლუბის მოძებნა?

ზაზაევს ქართველ ფეხბურთელებზე გული გაუცივდა, მას მხოლოდ შელიაღა შერჩა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას" მარჯვენა ნახევარმცველი, 28 წლის ზაზა რევიშვილი ტრავმებმა შეაწუხეს. ამის გამო მას მრავალი მატჩის გამოტოვება მოუწია.

ბოლოს, მას შემდეგ, რაც უეფას თასზე „ალანია" — ბელგიის „ანდერლეხტის" შეხვედრის დასაწყისშივე რევიშვილმა შეცვლა ითხოვა, ჩვენი ლეგიონერი თბილისის გზას გაუყუნა — ტრავმისგან განიკურნე და ჩამოდი საბოლოო ანგარიშსწორებისთვისო.

ასე რომ, [illegible] თვეში რევიშვილი თავისუფალი აგენტი გახდება. რომელი იქნება მისი შემდეგი კლუბი?

მსაჯები ქუთაისის მერისაგან ბრალდებათა დაკონკრეტებას მოითხოვენ

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტში არაჩვეულებრივი აჟიოტაჟი შეიმჩნეოდა: ქართველი მსაჯები პროტესტის გამოსათქმელად შეიკრიბნენ მათი აზრით იმ უსაფუძვლო ბრალდებების გამო, რომელიც ამას წინათ გამოთქვა მსაჯების მისამართით ქუთაისის მერმა თემურ შაშიაშვილმა.

კარლო ყრუაშვილი, მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე: „ბატონი შაშიაშვილის პოზიცია გაურკვეველია. ახლა, როცა მსაჯები წინანდელზე უკეთ არიან მომზადებულნი, როცა მწვრთნელებიც არ არიან უკმაყოფილო მსაჯობით, როცა ჩვენი არბიტრები საერთაშორისო არენაზე ღირსეულად გამოდიან, მით უფრო გულსატკენი და აღმაშფოთებელია ამგვარი უსაფუძვლო ბრალდება".

მალხაზ კოზიაშვილი, ვეტერანი მსაჯი: „ქალაქის მერი არაა ფეხბურთში საკმარისად ჩახედული და მცდარ ინფორმაციას ფლობს. ასეთი ზოგადი ბრალდების წამოყენება არ შეიძლება. თუ მას კონკრეტული ფაქტები აქვს, უნდა დაასახელოს".

უშანგი ფურცელაძე, მსაჯთა დამნიშნავი კომისიის თავმჯდომარე: „აბსურდია იმის მტკიცება, რომ მსაჯები და ფედერაციის ცალკეული თანამშრომლები კორუმპირებულნი არიან, ბატონი შაშიაშვილი ვერ დაასახელებს ვერც ერთ ფაქტს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში ქუთაისის „ტორპედოს" ყველა თამაშს სხვადასხვა ბრიგადა მოემსახურა და არც ერთ დელეგატს (კომისარს) ისინი ცუდად არ შეუფასებია. თანაც, შინ ჩატარებული ოთხი მატჩიდან „ტორპედომ" სამი მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა. აქ მსაჯებთან საკამათო რა უნდა ჰქონდეთ? ხოლო, თუკი გუნდი თავისზე ძლიერებთან უიმედოდ აგებს (მაგალითად, ზუგდიდში 0-5, „მერანთან" 1-3), მსაჯი რა შუაშია? თავისი გუნდის სისუსტე ისევ თავიანთ თავს უნდა დააბრალონ.

„ტორპედოს" მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ შაშიაშვილი ამ კლუბის პრეზიდენტია. მსაჯებთან სასაყვედურო არც სხვა გუნდებს უნდა ჰქონდეთ. აკი არც გამოთქვამენ სხვა კლუბების ხელმძღვანელები პრეტენზიებს".

თ. ლაცაბიძე, მ. ჭილიძე, მსაჯები: „დაასახელონ კონკრეტული ფაქტები. გუნდები მსაჯობით უკმაყოფილონი არ არიან. დონე მაღლდება, თავად ქუთაისელთა მწვრთნელებსაც არა აქვთ მსაჯებთან პრეტენზიები".

კარლო ყრუაშვილი: „ჩვენს მსაჯებს საერთაშორისო აღიარება აქვთ. დღეს საქართველოს ფიფას ხუთი არბიტრი და თორმეტი ლაინსმენი ჰყავს. მათი მსაჯობა საერთაშორისო მატჩებში ყოველთვის დადებით შეფასებას იმსახურებდა. მსაჯების სახელის შებღალვის უფლებას არავის მივცემთ".

ჭადრაკი

დიდი ბრძოლა პრეზიდენტის სავარძლისათვის

(პირველი გვერდიდან)

ათასი შვეიცარიული ფრანკია. ეს მსოფლიო სპორტულ ორგანიზაციას არ ეკადრება.

ჩვენ, საპრეზიდენტო საბჭოს წევრები ღრმა უთანხმოების კურსში ვართ, რომელიც ელისტაში ალმასკომის სხდომების დროს გამოვლინდა. ეს დაუშვებელი სიტუაციაა და ჭადრაკს დიდად ვნებს".

ხაიმე ხუნიე ნეტო ირწმუნება, რომ თუ ფიდეს პრეზიდენტად აირჩევენ, ყველაფერს გამოასწორებს.

ამ „საპრეზიდენტო ბარათის" გამოქვეყნების შემდეგ ფიდეს წერილით მიმართა რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ანდრეი მაკაროვმა: „კმაყოფილებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ ჩვენი წარმომადგენელი ბატონ ხაიმე ხუნიე ნეტოს საპრეზიდენტო ბილეთში დასახელებულია ვიცე-პრეზიდენტად.

რადგან ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა უარი განაცხადა წარმოედგინა „საპრეზიდენტო ბილეთი" 8 კაცის შემადგენლობით, მე, როგორც რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენელი, ვილებ წინადადებას ჩემს ვიცე-პრეზიდენტად წამოყენების შესახებ. რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია მხარს უჭერს ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილიუმჟინოვის კანდიდატურას.

ამავე დროს რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია არავითარ შემთხვევაში მხარს არ დაუჭერს ფიდეს პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს, გნებავთ იმავე ბატონ ილიუმჟინოვსაც, თუკი იგი ფიდეს ხელმძღვანელობაში რაიმე პოსტს შესთავაზებს ბატონ ბაშარ კუატლის".

განმარტებისათვის დავძენთ, რომ დიდოსტატი ბაშარ კუატლი ამჟამად ფიდეს ვიცე-პრეზიდენტია, ცნობილი საჭადრაკო მოღვაწე, ეროვნებით ლიბანელი არაბი, საფრანგეთის მოქალაქე, ანატოლი კარპოვის თავგამოდებული მომხრე, ისე რომ, მაკაროვის ეს კატეგორიული მოთხოვნა ამავე დროს კარპოვის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებაა.

თითქოს მაკაროვის ჯიბრზე, ფიდემ მიიღო ბაშარ კუატლის „საპრეზიდენტო ბარათი" ასეთი შემადგენლობით: პრეზიდენტი ბაშარ კუატლი (საფრანგეთი), პრეზიდენტის მოადგილეები ანატოლი კარპოვი (რუსეთი), რომან ტორანი (ესპანეთი), ვიცე-პრეზიდენტები პედრო ბარერა (სალვადორი), დავიდ სამუნგა (ზამბია), სუნ ლიანჟი (ჩინეთი), გენერალური მდივანი მორტენ სანდი (ნორვეგია), მთავარი ხაზინადარი მუჰამედ მურად საკარი (ლიბანი).

ახლა კი მკითხველი კარგად წარმოიდგენს, რა ბრძოლა გაჩაღდება ფიდეს კონგრესზე პრეზიდენტის არჩევნების დროს.

რატომ აბრალებთ მოჭადრაკეებს ოლიმპიურ ჩემპიონობას?

ნელ-ნელა შეგვაჩვიეს და ახლა უკვე არა მხოლოდ საუბარში ამბობენ, არამედ ოფიციალურად წერენ და აცხადებენ, რომ საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულები ოლიმპიური ჩემპიონები არიან. არადა, ხომ ყველამ ვიცით, რომ ეს ასე არ არის. ხომ ყველამ ვიცით, რომ ოლიმპიური ჩემპიონია ის, ვინც იმარჯვებს ოლიმპიურ თამაშებში, ცხადია, სპორტის იმ სახეობაში, რომელიც შედის ოლიმპიადის პროგრამაში. ჭადრაკი კი, მოგეხსენებათ, არც ოლიმპიური სახეობაა და არც ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედის. მაშ, საიდან გადგენთ, რომ საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებულები ოლიმპიური ჩემპიონები არიან? ვის სჭირდება ასეთი სიცრუე, დაუმსახურებელი უმაღლესი სპორტული ტიტულის მითვისება. სხვა რომ არაფერი, ეს კარგად არ გვახასიათებს და, უბრალოდ, სირცხვილია. ასეთი პრინციპით თუ მივუდგებით, ხვალ შეიძლება ოლიმპიურ ჩემპიონებად გამოაცხადონ თავი ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, სიმღერისა და ცეკვის ოლიმპიადებში გამარჯვებულებმა. ნუ ვიზამთ ამას, სირცხვილია!

დავით ხიჯაკაძე

ქუთაისი.

ჭადრაკი

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე

(პირველი გვერდიდან)

ის დახარჯვა მოუხდათ ჩვენებს. შეგახსენებთ, რომ ტური, რომელიც 15 საათზე იწყება, მთელ 7 საათს მიმდინარეობს. და აი ტურის ბოლოსათვის პარტიები გამარჯვებამდე მიიყვანეს მაია ჩიბურდანიძემ, რომელსაც ერთ მომენტში საეჭვო პოზიცია ჰქონდა (ხარისხი აკლდა) და ნანა იოსელიანმა. ნინო გურიელი კი მესამე დაფაზე დამარცხდა. ამრიგად საბოლოო ანგარიშია 2:1 ჩვენი ნაკრების სასარგებლოდ. ამასობაში უდანაკარგოდ გაიმარჯვეს ჩვენმა ძირითადმა კონკურენტებმა, რუსეთისა და ჩინეთის გუნდებმა, თუმცა მათ გარდა 3-3 ქულა კიდევ ბევრსა აქვს. გერმანიის გუნდის ლიდერია ქეთევან კახიანი, ბელორუსიის გუნდში პირველ დაფაზე თამაშობს ყოფილი ქუთაისელი ჰენრიეტა ლაგვილავა, ხოლო კიდევ ერთი ყოფილი ქუთაისელი, ეკატერინე ფახისოვა საქართველოს პირველობების მრავალგზის მონაწილე, ახლა საბერძნეთის გუნდში გამოდის.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებს, რომელიც ამ დღეს თავისი უძლიერესი მოჭადრაკეების ზურაბ აზმაიფარაშვილისა და გია გიორგაძის გარეშე თამაშობდა ახალი ზელანდიის გუნდთან, რაიმე სიძნელე არ შეხვედრია. გაიმარჯვეს ზურაბ სტურუამ, გენადი ზაიჩიკმა, ლაშა ჯანჯღავამ და ხვიჩა სუპატაშვილმა.

ვაჟთა ოლიმპიადაზე პირველ ტურში არ თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელსაც ფინელების წინააღმდეგ ვლადიმირ კრამნიკი ცვლიდა. კასპაროვმა მისცა ინტერვიუ, სადაც განაცხადა, რომ ეჭვი არ ეპარება რუსეთის გუნდის საბოლოო გამარჯვებაში, თუმცა ინგლისელებს, უკრაინელებს, უნგრელებს და აშშ-ს ნაკრებებს ძლიერი დიდოსტატები ჰყავთ. რუსებმა (ამ დღეს კრამნიკის გარდა თამაშობდნენ სვიდლერი, დრეევი და რუბლევსკი) ანგარიშით 4:0 სძლიეს ფინელებს. რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევს უნგრეთის ვაჟთა ნაკრებში პირველ დაფაზე იუდით პოლგარის გამოსვლა (ასე იყო მოსკოვის 1994 წლის ოლიმპიადაზეც), რომლის შესახებ ელ უარდ გუფელდმა თქვა: „არავინ იცის, ეს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს უნგრეთის ვაჟთა ნაკრებს, თუ დააკლებს ქალთა ნაკრებს". ყოველ შემთხვევაში, იუდითმა მოიგო თავისი პირველი შეხვედრა ავსტრიელთან. აქვე ვიტყვით, რომ უფროსი და, მსოფლიო ჩემპიონი ჟუჟა პოლგარი უნგრეთის ქალთა ნაკრებში არ გამოდის – ფეხმძიმედაა. პოლგარების გარეშე კი ეს გუნდი საპრიზო ადგილების პრეტენდენტად არ ითვლება. ვნახოთ...

ერთი სიტყვით, ოლიმპიადამ სტარტი აიღო. 14 ტური შვეიცარული სისტემისათვის მეტად ბევრია და უდავოა ყოველდღე ახალ-ახალ სიურპრიზებს შემოგვთავაზებს.

„ლელოს" სპეც.კორ.

ერევანი.

მაიას ახალი წარმატება

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკემ მაია ლომინეიშვილმა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში დიდოსტატის ნორმა შეასრულა, რის შემდეგ პოლონეთში გაემგზავრა.

მის ახალ წარმატებაზე ვესაუბრა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ოსტატ გიორგი მაჭარაშვილს, რომელიც პოლონეთში ახლდა თავის აღზრდილს.

– ქალაქ ვისლაში, რომელიც მდინარის სახელს ატარებს, უკვე მესამედ გაიმართა ქალთა საერთაშორისო ტურნირი. პოლონეთში საქართველოს საპაერო დეპარტამენტისა და ავიაკომპანია „ორბის" დახმარებით გავემგზავრეთ.

ვისლა, რომელიც ძალიან წააგავს ბაკურიანს და აღმოსავლეთ ევროპაში პოპულარული კურორტია, შემდეგშიც აპირებს საჭადრაკო ტრადიციების გაგრძელებას. იგი კატოვიცესთან ახლოს მდებარეობს.

ამჯერად შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარული სისტემით ჩატარდა (9 ტურად), 40 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ დიდოსტატები: ფათალიბეკოვა, (რუსეთი), ლიტინსკაია (უკრაინა), რადუ, პრეტენდენტთა ტურნირის ყოფილი მონაწილე ფოიშორი (ორივე – რუმინეთი), ერნესტე (ლატვია), კონარკოვსკა და როკოლოვა (ორივე – იუგოსლავია), ვრენსკა – რაძევსკა, ბობროვსკა (ორივე – პოლონეთი). ერთი სიტყვით, მეტად ძლიერი შემადგენლობა იყო.

თავიდან წინ გაიჭრა მრავალნაცადი ლვოველი მარტა ლიტინსკაია, რომელსაც ჩვენი გულშემატკივრები კარგად იცნობენ. მას 6 ტურის შემდეგ 5 ქულა ჰქონდა, მაგრამ დასკვნითი შეხვედრებისათვის, როგორც ჩანს, ძალა არ ეყო. იგი დაამარცხა ელენე ფათალიბეკოვამ, რომელიც ბოლო ხანებში ბევრს თამაშობს და გადაასწრო კიდეც. რაც შეეხება მაიას, იგი თანაბრად გამოდიოდა და სულ ლიდერთა შორის იყო.

საბოლოოდ 6,5 – 6,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ფათალიბეკოვამ და რუმინელმა რადუმ. 6-6 ქულით III-IV ადგილებზე არიან მაია ლომინეიშვილი, ლიტინსკაია და ჩინელი ნინგი. ეს, რა თქმა უნდა, მაიას მორიგი წარმატებაა და უკანასკნელი ორი შეჯიბრებით კოეფიციენტების ცხრილში, წინასწარი ვარაუდით, 30-40 პუნქტი მიიმატა.

მაია ორგანიზატორებმა გაისად კვლავ მიიწვიეს ვისლას საერთაშორისო ტურნირში. პოლონეთიდან აქვს მეორე მიწვევაც. ეს იქნება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის გამართვასაც ვარშავაში აპირებენ.

უახლოესი გეგმები კი ასეთია: ოქტომბერში მაია ითამაშებს 20 წლამდე ქალიშვილების ევროპის ჩემპიონატში უნგრეთში, დეკემბერში კი, თუ სპონსორი გამოჩნდა, გრონინგენის (ჰოლანდია) დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოვა.

საქართველოს პირველობა მოსწავლეთა შორის

კარგი ტრადიცია აღდგა

ის, რომ ქართულ საჭადრაკო სკოლას ესოდენი მიღწევები აქვს, მნიშვნელოვანწილად საქართველოს განათლების სამინისტროს დამსახურებაა. სწორედ მის მიერ სისტემატურად, თანმიმდევრობით ჩატარებულ მრავალრიცხოვან შეჯიბრებებში აღიზარდნენ მსოფლიო ჩემპიონები ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არახამია, ქეთევან კახიანი, გამოჩენილი დიდოსტატები ზურაბ აზმაიფარაშვილი და სხვა სახელოვანი მოჭადრაკეები.

ბოლო წლებში დიდი ფინანსური გაჭირვების გამო განათლების სამინისტროს საშუალება აღარ ჰქონდა ჩაეტარებინა მოსწავლეთა რესპუბლიკური ჩემპიონატები. მაგრამ, აი, დიდი რუდუნების შედეგად, გამოინახა საშუალებები და კვლავ აღდგა ეს კარგი ტრადიცია.

„ლელოს" მიმომხილველი გივი გამრეკელი ესაუბრა განათლების სამინისტროს მთავარ მწვრთნელს ჭადრაკში სულიკო მგელიძეს.

● *ნება მომეცით მოლოცვით დავიწყო. კარგად მესმის, რა სიძნელეების გადალახვა დაგჭირდებოდათ ისეთი მასობრივი ღონისძიების ჩასატარებლად, როგორიც საქართველოს მოსწავლეთა პირველობაა. ამიტომ პირველი კითხვა ასეთი იქნება: რამდენი მოსწავლე მონაწილეობდა საქართველოს პირველობაზე?*

– 112 გოგონა და ვაჟწვილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

● *ავაშენათ ღმერთმა! ამდენ მონაწილეს კარგი მიღება და დახვედრა უნდოდა. წმინდა საჭადრაკო საკითხებზე აღარ ვლაპარაკობ.*

– განათლების სამინისტრომ გამოყო საჭირო თანხა და შეჯიბრებაც ისე ჩავატარეთ, როგორც მრავალი წლის განმავლობაში ვატარებდით.

● *ახლა, თუ შეიძლება, წმინდა სპორტული მხარის შესახებ.*

– ვთამაშობდით ქობულეთში, პროფესიული სასწავლებლის სპორტულ დარბაზში. ეს პირველობა (ასაკი – 10, 12, 14 და 16 წლამდე), რომლის მთავარი მსაჯი იყო ოსტატი ამირან ბერძენიშვილი, ამავე დროს მსოფლიოსა და ევროპის პირველობების ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპი იყო. ქობულეთში გამარჯვებულები თებერვალ-აპრილში თბილისში გააგრძელებენ ბრძოლას მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საგზურებისათვის.

● *რომელმა მოსწავლეებმა გამოიჩინეს თავი?*

– 10 წლამდე ვაჟწვილებში (შეჯიბრება ყველა ასაკში შვეიცარული სისტემით მიმდინარეობდა, 8 ტურად) I-II – ადგილები 6-6 ქულით გაიყვეს ბექა გოგიტიძემ (თბილისი) და დავით ურუშაძემ (თბილისი). უკეთესი კოეფიციენტის გამო ჩემპიონობა გოგიტიძეს მიეკუთვნა.

5,5 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება ლადო ლეკავამ (წალენჯიხა), მაკა ფურცელაძემ (გურჯაანი) და დავით ყალიჩავამ (ზუგდიდი).

12 წლამდე ასაკში დამსახურებულად გაიმარჯვა მიხეილ გოგუაძემ (ბათუმი), რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა. 6 ქულით II იყო გიორგი ქაჩლიშვილი (გურჯაანი). 5.5 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება ლევან გოგოჭურმა (თბილისი) და მიხეილ სიჭინავამ (ფოთი).

14 წლამდე ასაკში I-III ადგილები 5.5 ქულით გაიყვეს იოსებ ქურდაძემ (ხაშური), თორნიკე ხველელიძემ (ოზურგეთი) და ნუკრი შველიძემ (ბათუმი). დამატებითი მონაცემებით ჩემპიონი გახდა ქურდაძე, II ადგილი მიეკუთვნა ხველიძეს, III – შველიძეს.

16 წლამდე მოსწავლეებში ჩინებული შედეგით – 6.5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა თამაზ მგელაძემ (რუსთავი). 6-6 ქულა მოაგროვეს ლევან გოგიბერიშვილმა (რუსთავი) და ნიკა არჩვაძემ (თბილისი). II ადგილი გოგიბერიშვილს მიეკუთვნა.

ახლა გოგონების შესახებ.

10 წლამდე გაიმარჯვა ბათუმელმა ნინო ბაციაშვილმა (6.5 ქულა) 6 ქულა მოაგროვა მაკა ფურცელაძემ (გურჯაანი), რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ვაჟწვილების პირველობაზეც გამოიჩინა თავი. 5,5 ქულით III იყო ნანა ტორუა (ზუგდიდი).

12 წლამდე I-II ადგილები 7-7 ქულით გაიყვეს ნონა დათუაშვილმა (თბილისი) და ლალი ბიბლაშვილმა (რუსთავი). ჩემპიონობა დათუაშვილს მიენიჭა. მესამე იყო ფბილისელი ალექსანდრა ვაზანია (6,5).

14 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში დამყარდა რეკორდი. 8 ქულით I იყო თამარ ჩანადირი (თბილისი). II-III ადგილები 6,5-6,5 ქულით გაიყვეს სოფიკო ვაჭრაძემ (ქუთაისი) და სოფიკო ცერცვაძემ (თბილისი). თანაბარი კოეფიციენტების გამო დაინიშნა დამატებითი შეჯიბრება, სადაც ვაჭრაძემ გაიმარჯვა.

16 წლამდე 7,5-7,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ნინო ვაჭრაძემ (ქუთაისი) და თინათინ ცერცვაძემ (თბილისი). ჩემპიონობა ვაჭრაძეს მიეკუთვნა. III ადგილი 7 ქულით დაიკავა ეკა ქუტიძემ (ოზურგეთი).

● *რამდენი მოჭადრაკე გააგრძელებს ბრძოლას შემდეგ ეტაპზე?*

– სამ-სამი თითოეული ასაკობრივი კატეგორიიდან. ჩვენ საშუალება მოგვეცა თითქმის ყველა მონაწილე დაგვეჯილდოვებინა ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით. ბევრი პრიზი იყო დაწესებული აჭარის განათლების სამინისტროს, ქობულეთის განათლების განყოფილების, ქობულეთის რაიონის გამგეობის მიერ.

● *რა თქმა უნდა, ასეთი მშვენიერი ტრადიციის აღდგენა მეტად საყურადღებო ამბავია. ახლა მთავარია, მომავალშიც სისტემატიურად ჩატარდეს საქართველოს პირველობები.*

– შევეცდებით.

მკითხველი — გაზეთი

არ ვიცი, რამდენად მართალია, თითქოს მთავრობის სხდომაზე განიხილეს ატლანტაში საქართველოს სპორტული დელეგაციის გამოსვლის შედეგები და ამ ოლიმპიადაზე ჩვენი სპორტსმენების უხეირო ასპარეზობისათვის ლამის მადლობა გამოუცხადებიათ. პირადად მე იმ დღეებში არ ვიყავი საქართველოში, ამიტომ არც რადიო-ტელევიზიით მომისმენია და არც წამიკითხავს. იქნებ თქვენ მაუწყოთ მეც და სხვებსაც ჩემნაირებს, სინამდვილეში რა მოხდა?

დაზმირ ფანცხავა

ამჟამად თბილისში მცხოვრები

პასუხი: *ჩვენ არ გვაქვს უფლება დავეყრდნოთ ყურმოკრულ ცნობებს და მითქმა- მოთქმას. სამწუხაროდ, ხსენებული სხდომის სრული ჩანაწერიც არ გაგვაჩნია. უტყუარ საბუთად კი მივვაჩნია ინფორმაცია, რომელიც ოფიციალურად გავრცელდა. ეს გახლავთ ქვეყნის პრეზიდენტის პოზიცია და შეფასება. აი, ისიც:*

– არ მიმაჩნია, რომ დიდი უბედურება მოხდა. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის, მსოფლიო ოლიმპიადაზე ისეთი მრავალრიცხოვანი დელეგაციით წარდგენა, თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. არც შედეგებია ნამეტანი საგალალო და სამარცხვინო. ბევრ საერთაშორისო სტანდარტს შეესაბამებოდა სპორტსმენთა დონე, მაგრამ არ შევნიშნო არ იქნება, ჩვენს შეგნებაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის ჩამჯდარი, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და შენ შენი დამოკიდებული ქვეყნისათვის იბრძვი. დაჩვეული ვართ, ჩვენს ნაცვლად ვილაც ნახავს, ვილაც იფიქრებს, ვილაც მოაწესრიგებს. ეს კი პასუხისმგებლობის ის პატარ-პატარა ელემენტებია, რომლებიც დიდ საქმეს ვნებს. სპორტში კი წვრილმანები არ არსებობს.

რეკლამა

ვარკეთილში, (III მიკრორაიონის 313-ე კორპუსში) გაიხსნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტი, სადაც მუშაობენ ყველა პროფილის მაღალი კვალიფიკაციის ექიმები. სამედიცინო დახმარების საფასური მინიმალურია და ამასთან სოციალურად დაუცველი პირები სარგებლობენ შეღავათებით.

ჩვენი ექიმები მოგემსახურებიან ყოველდღე, ბინაზე და ადგილობრივად კონსულტაციით.

ადმინისტრაცია.

პროფესიონალთა რეიტინგი

მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის წინ პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციამ გამოაქვეყნა უძლიერესთა რეიტინგი (ვაჟებში), რომლის პირველ ათეულს აქვე გთავაზობთ:

გ. კასპაროვი (რუსეთი) 2787
3. ანანდი (ინდოეთი) 2779
3. კრამნიკი (რუსეთი) 2761
ა. კარპოვი (რუსეთი) 2754
3 ტოპალოვი (ბულგარეთი) 2750

ნბა-ს სეზონი ახლოვდება



მაიკლ ჯორდანი

არასდროს არ გამოუწვევია იმდენი მითქმა-მოთქმა ნბა-ს კონტრაქტებს, როგორც წლეულს. თუმცა, ეს გასაგები უნდა იყოს, ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ წლეულს გაფორმდა ყველა დროის ყველაზე სენსაციური კონტრაქტი. მხედველობაში გვაქვს თანხა, რომელიც გაიღო „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ შაკილ ო'ნილის ხელში ჩასაგდებად — 123 მილიონი დოლარი კალათბურთელის შვიდწლიანი ექსპლოატაციისათვის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ზღვარი ამ კალათბურთელისთვის. შაკილს არანაკლები თანხის დათრევა შეუძლია რეკლამასა და კინოში.

მეორე ასეთივე უნიკალური და აბსოლუტური გარიგება მოხდა „ჩიკაგოში“ მაიკლ ჯორდანსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის. ერთწლიან კონტრაქტში ნბა-ს საუკეთესო მოთამაშე მიიღებს 30 მილიონ დოლარს. როგორც მაშინვე გამოთვალეს სტატისტიკოსებმა, სპორტის სათამაშო სახეობებში ასეთი ხელშეკრულება არასოდეს გაფორმებულა. სხვათა შორის, ამ კონტრაქტით ნბა-ს ჩემპიონმა მთლიანად შეინარჩუნა შარშანდელი შემადგენლობა, რაც საშუალებას აძლევს ახალ სეზონშიც მხოლოდ პირველი ადგილისათვის იბრძოლოს. „ჩიკაგოს“ ჰყავს თავისი ჯორდანიც, დენის როდმანიც, მწვრთნელი ფილ ჯექსონიც და ყველა შარშანდელი ლაურეატი.

როგორც ჩანს ჩემპიონობას აპირებს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსიც“, თორემ რატომ გაიმეტებდა ასეთ ზღაპრულ თანხას (123 მილიონ დოლარს) შაკილ ო'ნილში? კლუბის პატრონმა, ჯერი ბასმა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, თავი მოუყარა ახალგაზრდობისაგან შემდგარ საკმაოდ სოლიდურ კამპანიას — ედი ჯონსი, ნიკ ვან ექსელი, სედრიკ სებალოსი, ელდენ კემპბელი და სხვა. ამ გუნდს, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში ტოლი არ ეყოლება. ჩამოაყალიბა თუ არა შემადგენლობა, ჯერი ბასმა დაიწყო ულტრათანამედროვე არენის მშენებლობა, რომელიც „ლეიკერსის“ მთავარი ადგილსამყოფელი იქნება.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ზომებს იღებენ სხვა კლუბების მეპატრონენიც, განსაკუთრებით ისინი, ვისაც მეტ-ნაკლები პრეტენზიები აქვს ჩემპიონობაზე. „ატლანტა-ჰოკსის“ მულტიმილიონერმა მეპატრონემ ტედ ტერნერმა გარკვეული თანხა გაიღო ზაირელი ცენტრალური თავდამსხმელის დიკემბე მუტომბოს გადასაყვანად.

მას შემდეგ, რაც „მაიამის“ მმართველობა პეტ რაილიმ ჩაიბარა, არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი ბრწყინვალე სპეციალისტი შექმნის საჩემპიონო გუნდს. ოღონდ რაილის ერთში შეეშალა ხელი: ნბა-ს ადმინისტრაციამ გააუქმა კონტრაქტი ჯავენ ჰოვარდთან. ამიტომ რაილის სხვა ძალისმიერი ფორვარდის ძებნა მოუხდა. ბოლოს მან არჩევანი პი ჯეი ბრაუნზე შეაჩერა.

ახლა რამდენიმე სიტყვა სეზონის სენსაციურ გარიგებაზე, რომლის კლასიფიკაცია ნბა-ს სტატისტიკოსებმა უკვე მოახდინეს. თანაც, საკონტაქტო თანხა გაჰყვეს გარიგების ხანგრძლივობაზე და ასე გამოიყვანეს წლიური მონაცემები. მაშ ასე, რამდენს მიიღებენ ახლანდელი გარიგების მონაწილენი წელიწადში (ფრჩხილებში აღნიშნულია შარშანდელი კონტრაქტის ღირებულება მილიონ დოლარებში).

მაიკლ ჯორდანი (4) — 30
შაკილ ო'ნილი (5,7) — 17,7
ჯავენ ჰოვარდი (1,7) — 15,7
ალონზო მოურნინგი (4,6) — 15
გერი პეიტონი (2,8) — 12,5
ალან ჰიუსტონი (1,2) — 12,5
დიკემბე მუტომბო (3,3) — 8
კენი ანდერსონი (3,9) — 7,1
ჯიმ მაკილვენი (0,5) — 5
კრის ჩილდსი (0,4) — 4

ამ სიახლეთა გათვალისწინებით ძალთა ერთგვარი გადაჯგუფება მოხდა ტოტალიზატორშიც. უკანასკნელი მონაცემებით, ლას-ვეგასის ბუკმეკერები ასეთი შეფარდებით იღებენ ფსონებს:

ჩიკაგო 2:3
ლეიკერსი 5:1
სიეტლი 6:1
ნიუ-იორკი 9:1
ჰიუსტონი 10:1
ინდიანა 12:1
ორლანდო 12:1
სან-ანტონიო 15:1
იუტა 16:1
მაიამი 35:1

ამ სიაში ბოლო ადგილზეა „ტორონტო“, რომელსაც ნბას ჩემპიონატში გამარჯვების ასტრონომიულად დაბალი შანსები აქვს. — 999:1.



შაკილ ო'ნილი

არჩილ ქლენტი რუსეთის სუპერლიგაში

● **რუსეთის** კალათბურთელთა სუპერლიგაში ერთი ქართველი კახაბერ შენგელია უკვე თამაშობდა. იგი იცავდა მოსკოვის დინამოელთა ღირსებას. ახლახან, სუპერლიგას მეორე ქართველი შეემატა: ეს გახლავთ არჩილ ქლენტი, წარსულში ცნობილი კალათბურთელის ვაჟა ქლენტის ძმისშვილიშვილი, რომელიც მოსკოვის „სპარტაკმა“ აიყვანა. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის ალექსანდრე გუსევის განცხადებით, „სპარტაკს“ „სწორედ ასეთი სწრაფი და მოქნილი კალათბურთელი სჭირდებოდა“. არჩილი გუნდთან ერთად უკვე იყო პოლონეთში. ახლა თითი აქვს ტრავმირებული და სულ მალე ჩადგება მწყობრში.

● **„გრანადასთან“** მესამე ტურში გამარჯვების შემდეგ (107:64) „ბარსელონამ“ ხელთ იგდო ლიდერობა ესპანეთის ჩემპიონატში. გამარჯვებულ გუნდს ყველაზე ბევრი ქულა (31) შესძინა ლიტველმა არტურას კარნიშოვასმა.

● **კონტრაქტი ჯერ** არ გაფორმებულა მაგრამ გადაწყდა, რომ იტალიის „ტიმსისტემის“ (ბოლონია) გუნდის წევრი, იუგოსლავიის ნაკრების გამთამაშებელი ალექსანდრე ჯორჯევიჩი ნბა-ს კლუბ „პორტლენდში“ ითამაშებს.

● **ისრაელში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალში ადგილობრივმა „მაკაბიმ“ ერთი ქულის სხვაობით (73:72) აჯობა საბერძნეთის „პანიონისს“. ერთი კვირით ადრე ეს გუნდები სხვა საერთაშორისო ტურნირის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ „მაკაბიმ“ უფრო იოლი გამარჯვება მოიპოვა 91:67.

● **კორაჩის** თასის წინასწარი რაუნდის პირველი მატჩი თბილისის „დინამოს“ გარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის კიდევ რამდენიმე კლუბმა ჩაატარა. გთავაზობთ მათი გამოსვლის შედეგებს: „მეტროპოლი“ (ლატვია) – „კიევ-ბასკეტი“ (უკრაინა) 82:75, „შაულიაი“ (ლიტვა) – „ლახტი“ (ფინეთი) 70:61; „ერბაშუ“ (რუმინეთი) – „ბიპა-მოდა“ (უკრაინა) 58:80, „ლუგანი“ (უკრაინა) – „კალევი“ (ესტონეთი) 86:86, „ფერო“ (უკრაინა) – „ასტრა“ (შვეცია) 71:72.

52 პროცენტი წინააღმდეგია

ამას შვედეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, ცხადია, არ ელოდნენ. ერთ-ერთი დილის გაზეთის, „დაგენს ნიუჰეტერის“ მონაცემებით 2004 წლის ოლიმპიადის შვეციის დედაქალაქში ჩატარებას მხარს უჭერს სტოკჰოლმის მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტი. 32 პროცენტი რწმენას გამოთქვამს, რომ სტოკჰოლმი გაიმარჯვებს კანდიდატ ქალაქთა კონკურსში. მოსახლეობის ნახევარზე მეტი (52 პროცენტი) კი კატეგორიულად წინააღმდეგია.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს მონაცემები სერიოზულად შეარყევს სტოკჰოლმის ავტორიტეტს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თვალში. არადა, ამ ორგანიზაციის კომისიას განზრახული აქვს ეწვიოს უმოკლეს ხანში ქალაქს ინსპექციის მიზნით.

გაზეთმა აღნიშნა, რომ ატლანტის ოლიმპიადამდე სტოკჰოლმის მოწინააღმდეგე იყო მოსახლეობის უმცირესი ნაწილი, დაახლოებით 18 პროცენტი. სტოკჰოლმის ოლიმპიადისთვის მზადების კომიტეტის თავმჯდომარის ულოფ სტენჰამერის აზრით, აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა „ატლანტის ეფექტმა“ და, რა თქმა უნდა, სკანდალურმა აფეთქებამ ოლიმპიურ პარკში.

სხვათა შორის, სტოკჰოლმი ერთხელ უკვე იყო (1912 წ.) ოლიმპიადის მასპინძელი.

გასანაწილებელი დარჩა 6 მილიონი

„დიდი სლემის“ ტურნირებში წარმატებით გამოსვლას, ყველაფერთან ერთად, ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მონაწილეობის უფლებას იძლევა საჩოგბურთო სეზონის დამაგვირგვინებელ შეჯიბრებაში, ე.წ. „დიდი სლემის“ თასის გათამაშებაში, რომელსაც ტრადიციულად მიუნხენი მასპინძლობს დეკემბერში. მიუნხენის ტურნირს სუპერტურნირს უწოდებენ, პირველ ყოვლისა, საპრიზო ფონდის გამო, რომლის სარეკორდო თანხა 6 მილიონ დოლარს შეადგენს.

ამ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მსოფლიოს 16 უძლიერესი ჩოგბურთელი მთელი წლის განმავლობაში მისხალ-მისხალ იხვეჭს. „დიდი სლემის“ ტურნირებში გამარჯვება 600 ქულას იძლევა, ფინალში თამაში 450 და, აი, ამდაგვარად გროვდება თექვსმეტთა ასპარეზობაში მონაწილეობისათვის საჭირო ქულები (შეგახსენებთ, რომ წლეულს „დიდი სლემის“ ტურნირები მოიგეს: ბორის ბეკერმა (ავსტრალიის ღია ჩემპინატი), ევგენი კაფელნიკოვმა (როლან გაროსი), რიჰარდ კრაიჩეკმა (უიმბლდონი) და პიტ სამპრასმა (აშშ-ს ღია ჩემპიონატი). მათ ყველას ქულათა მაქსიმუმი (600) დაერიცხათ.

სეზონის დამაგვირგვინებელ ტურნირში მონაწილეობისთვის ჩოგბურთელებმა ასეთი ქულები დააგროვეს:

პიტ სამპრასი — 1090
მაიკლ ჩანგი — 942
რიჰარდ კრაიჩეკი — 792
ევგენი კაფელნიკოვი — 752
ბორის ბეკერი — 640
ანდრე აგასი — 622
გორან ივანიშევიჩი — 565
მიჰაელ შტიხი — 545
ტოდ მარტინი — 420
ჯეისონ სტოლტენბერგი — 362
მარკ როსეტი — 342
მარკ ვუდფორდი — 306
ჯიმ კურიე — 302
თომას მუსტერი — 300
სტეფან ედბერგი — 265

265 ქულა აქვს დაგროვილი სედრიკ პიოლინსაც, მაგრამ ედბერგს „დიდი სლემის“ არც ერთი ტურნირი არ გამოუტოვებია და ამიტომაც მიენიჭა უპირატესობა.

პიოლინი კი, ისევე როგორც მიჰაელ ტილსტრიომი (250 ქულა) სათადარიგოთა სიაში არიან ჩარიცხულნი და შეცვლიან იმ ჩოგბურთელს, ვინც რაიმე მიზეზით უარს იტყვის თამაშზე.

უარის თქმის პირველი კანდიდატია ბორის ბეკერი, რომელსაც ხელის ტრავმა აწუხებს უიმბლდონის შემდეგ. ამ დღეებში გერმანელი ჩოგბურთელი რუმინეთის ღია ჩემპიონატში გამოვიდა, მაგრამ პირველი ტურის პირველი პარტიაც, ტკივილების გამო ვერ დაამთავრა. ექიმები აფრთხილებდნენ, — ტრავმა ჯერ არ არის მოშუშებულიო, მაგრამ ჩოგბურთელმა არ მიიღო მათი რჩევა. ეს კი არა, მან დაგეგმა პარიზსა და ჰანოვერში თამაში. ახლა კი ეტყობა, წლეულს თამაში მას აღარ მოუწევს.

«მეტალურგი» (რუსთავი) – «კოლხეთი-1913» (ფოთი) 2-4

„მეტალურგი": კოროშინაძე, ი. ხუჯაძე (კედელაშვილი), სილაგაძე, პატარიძე, სახვაძე, რეხვიაშვილი, არსოშვილი, ჩალაძე, ა. ჯელაძე (მენთეშაშვილი), ზირაქიშვილი, ალადაშვილი (ლაბაძე).
„კოლხეთი-1913": გოგუა, მიქაბერიძე, კაკაჩია, შ. ხუჯაძე, ტორჩინავა, ლალანიძე, ამბიძე (მიშველიძე), გიორგაძე, სოლოღაშვილი, გ. დარასელია (გოროზია), ყულეჯიშვილი (ბულუხია)

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

გოლები: ზირაქიშვილი, ჩალაძე, ამბიძე, ლალანიძე, დარასელია — 2.
გააფრთხილეს: შ. ხუჯაძე
მსაჯი: მ. სილაგავა

თამამად შეიძლება ითქვას — ეს მატჩი კოლხებმა კი არ მოიგეს, არამედ მასპინძლებმა წააგეს. მატჩის დასაწყისშივე მასპინძლები ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ, მაგრამ უვარჯიშებელი გუნდი რომ დიდხანს ვერ გაძლებდა, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა. ასეც მოხდა — სტუმრებმა თანდათან გამოასწორეს თამაში, ხოლო მეორე ტაიმში ბრწყინვალედ მოთამაშე „ძუკუს" (გ. დარასელია) წყალობით გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს.

სამწუხაროდ, კვლავ გვიხდება ვაუწყოთ გულშემატკივრებს, რომ „მეტალურგი", რომლის შემადგენლობაშიც ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოდიან, დაშლის პირას არის მისული — მოთამაშეებს კარგა ხანია არ აუღიათ ხელფასი, ქალაქის ხელმძღვანელობას საერთოდ არ აინტერესებს კოლექტივის ბედ-იღბალი.

«კახეთი» ძლიერდება, «სამტრედიასა» და «ივერიაში» კი კვლავ დაძაბული სიტუაციაა, თუმცა, ბოლო ტურის მატჩები მოიგეს.

საქართველოს ჩემპიონატის წინა ტურში თელავის „კახეთმა", სატურნირო ცხრილის ბოლოში რომ მიჩანჩალებდა, „კუდი მოიქნია" და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი გორის „დილა" დაამარცხა. ეტყობა, ამ გამარჯვებამ ქალაქის მამებს, ვინაც გუნდს პატრონობს, ფრთები შეასხა და ცოტაოდენი ფულიც გაიმეტეს — „კახეთმა" კვლავ დაიმატა 33 წლის გოჩა ჰერიტიძე, რომელსაც ერთი წელია თავი ჰქონდა დანებებული ფეხბურთისთვის. გარდა ამისა, თელაველებმა თბილისის საფეხბურთო კლუბ „დინამო-2"-იდან ერთი წლით „ინათხოვრეს" პერსპექტიული, ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემების მეკარე დავით ალანაძე.

გულშემატკივართ ემახსოვრებათ, რომ წინა საფეხბურთო სეზონის მიწურულში „სამტრედიას" შინ თამაშის უფლება ჩამოართვეს, ვინაიდანეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონის ტრიბუნები ავარიულ მდგომარეობაში იყო. სად არ იჩბინა მაშინ სტადიონის დირექტორმა როლანდ გარნოვსკიმ, ვის არ მიმართა — შეკეთებას და აღდგენას კი არავინ ფიქრობდა. ერთადერთი რაც მოახერხეს, უვარგის ტრიბუნებზე დასხდომა აკრძალეს. დაიწყო ახალი ჩემპიონატი და მდგომარეობა კვლავ არ შეცვლილა. ამიტომ იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კვლავ გამოუტანა დისკვალიფიკაცია სამტრედიის სტადიონს. ამის გამო საშინაო მატჩი ზესტაფონის „მარგვეთთან" „სამტრედიამ" წყალტუბოში ჩაატარა და აკი წააგო კიდეც. შედეგად გუნდი სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცა, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

ახლა კი დაფაცურდნენ სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელები და სულ ორსამ დღეში ტრიბუნებიც შეაკეთეს და ზოგიერთი სხვა რამეც მოაწესრიგეს სტადიონზე. სფფ-ის კომისიამ შესრულებული სამუშაოები შეამოწმა და შესაძლებლად ჩათვალა მოეხსნათ სტადიონისთვის დისკვალიფიკაცია.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „სამტრედია" კვლავ მთავარი მწვრთნელის გარეშე ატარებს მატჩებს. არადა, მდგომარეობა სერიოზულია, გუნდი კვლავ აუტსაიდერთა შორისაა — ბოლო ადგილზე მყოფი „შევარდენი-თსუ" მას მხოლოდ ქულით უსწრებს.

ასეთივე საგანგაშო მდგომარეობაა ხაშურის „ივერიაში", თუმცა, ბოლო ტურში ამ გუნდმაც გამარჯვება მოიპოვა, თანაც ვინ, გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი „ლანჩხუთის „გურია" დაამარცხა. როგორც შევიტყვეთ, „ივერია" საერთოდ არ აპირებდა მოედანზე გამოსვლას — ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს კარგა ხანია არ აუღიათ ხელფასები და პრემიები (გუნდს პატრონობს ხაშურის რაიონის გამგეობა). მხოლოდ ბოლო მომენტში შეძლეს რაიონის ხელმძღვანელებმა დაერწმუნებინათ ფეხბურთელები არ ჩაეშალათ მატჩი.

კვლავ სასიამოვნოდ გაგვაკვირვა პირველი ჯგუფის დებიუტანტმა თბილისის „მერანი-91"-მა. ავტოტრანსპორტელებმა ამჯერად გასვლით მატჩში სატურნირო ცხრილისზედა ნაწილში მყოფი „დილა" დაამარცხეს. ნუ დავივიწყებთ, გათამაშების კალენდარი ისეთნაირადაა შედგენილი, რომ მერანელებს პირველ მატჩებში თამაში მოუწიათ ისეთ ძლიერ გუნდებთან, როგორიცაა ბათუმის „დინამო", „მარგვეთი", „ტორპედო", „მეტალურგი"... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომდევნო ტურში თბილისელები შინ ბოლნისელებს ეთამაშებიან, ადვილი შესაძლებელია „მერანი-91" უკვე ლიდერთა ჯგუფში ვიხილოთ. ამაში ვერავითარ სენსაციას ვერ ვხედავთ, ვინაიდან კარგა ხანია ვაკვირდებით, როგორი ენთუზიაზმით ამზადებენ გუნდს თითოეული მატჩისათვის კლუბის პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე, მწვრთნელები თემურ მახარაძე, სერგო გაბელაია.

სასიამოვნოა, რომ ლიდერებში კვლავ ვხედავთ ფოთელებს. მას შემდეგ, რაც გუნდში დაბრუნდა მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია, სიტუაცია კოლექტივში სტაბილური გახდა, ფეხბურთელები დაწყნარდნენ, დაშოშმინდნენ, საწვრთნელ პროცესს უფრო სერიოზულად, პროფესიონალებს რომ ეკადრებათ, ისე მიუდგნენ. შედეგმაც არ დააყოვნა.

შეგახსენებთ, რომ შემდეგი, VIII ტურის მატჩები გაიმართება 19 და 20 სექტემბერს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მატჩი ფოთში, სადაც ადგილობრივი „კოლხეთი-1913" ბათუმის „დინამოს" უმასპინძლებს.

„აიაქსის" ჰეგემონიის დასასრული

სულ ახლახან დაიწყო ჰოლანდიის ჩემპიონატი, მაგრამ უკვე სრულიად ნათელია, რომ დაირღვევა ამ ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიცია: პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ამსტერდამის „აიაქსს" ვერავინ უწევდა სერიოზულ კონკურენციას, მისი უახლოესი მეტოქე „პსვ ეინდჰოვენი" იყო, ხოლო მესამე ადგილი თითქმის უბრძოლველად როტერდამის „ფეიენოორდს" რჩებოდა. წლეულს, იმ დიდი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ამ სამი წამყვანი კლუბის შემადგენლობაში მოხდა, ალბათ უკვე სამი გუნდი იბრძოლებს ჩემპიონობისათვის.

მას შემდეგ, რაც 1995-96 წლების სეზონის მეორე ნახევარში „აიაქსმა" აშკარად უკლო თამაშს და ჩემპიონთა თასიც დათმო, მისმა დირექტორატმა გუნდის შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოახდინა: გაყიდეს მცველები რაიციგერი, დავიდსი, ნახევარმცველი ფინიდი ჯორჯი, თავდამსხმელი კანუ. ამას დაერთო მთელი რიგი წამყვანი მოთამაშეების ტრავმა და ძველი, უძლეველი „აიაქსიდან" აღარაფერი დარჩა. ეს აისახა მთელი რიგი ამხანაგური თამაშების უიმედოდ წაგებასა და სუსტ სტარტში ეროვნულ ჩემპიონატზე. მეტად მტკივნეული იყო, რა თქმა უნდა, ჰოლანდიის სუპერთასის მატჩის პირწმინდად წაგება „ეინდჰოვენთან" – 0-3. და „აიაქსმა" ზომები მიიღო შემადგენლობის გასაძლიერებლად. არგენტინის კლუბ „ნიუელს ოლდ ბოიზიდან" შეიძინა 24 წლის, ხორვატული წარმოშობის ივან სეზარ გაბრიჩი. მან არგენტინაში უკანასკნელ სეზონში 25 გოლი გაიტანა და „ივანე მრისხანის" სახელი დაიმსახურა. ეს არის ძალისმიერი მოთამაშე, რომელიც არ უფრთხის უხეშ მცველებს. ამას წინათ უმძიმესი ტრავმის გამო 8-თვიანი შესვენების შემდეგ მწყობრში ჩადგა ამსტერდამელთა საყვარელი გარემარბი ოვერმარსი. გულშემატკიერები მის გამოჩენას ახალ სტადიონ „ამსტერდამ არენაზე" მქუხარე ტაშით შეხვდნენ. როცა საბოლოოდ გამოჯანმრთელდებიან გუნდის კაპიტანი ბლინდი, სნაიპერი კლუივერტი და სხვა წამყვანი მოთამაშეები, „აიაქსს" უკვე შეეძლება ფიქრი წარსული სახელის აღდგენაზე.

ჯერჯერობით კი, როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, „პსვ ეინდჰოვენი" გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურება. მასთან მეტად ნაყოფიერად მუშაობს ცნობილი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი. გუნდმა ორი ამოცანა დაისახა: იბრძოლოს ჰოლანდიის ჩემპიონობისათვის (რაკი ამის კარგი შესაძლებლობა მიეცა) და მოიპოვოს თასების მფლობელთა თასი. ამოცანა, გასაგებია, მეტად რთულია, მაგრამ გუნდი შესანიშნავად არის მომზადებული. მაშინაც კი, როცა ორი წამყვანი თავდამსხმელი ნილისი და დეგრისი ბელგიის ნაკრებში გაიწვიეს, „პსვ ეინდჰოვენის" შეტევითი პოტენციალი მაინც არ შესუსტებულა. ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა ბრაზილიის „კრუზეიროდან" ნაყიდი 23 წლის მარსელო სილვა რამოში, სასტარტო მატჩშივე რომ სამი ბურთი გაიტანა.

ახლა კი ზოგი რამ როტერდამის „ფეიენოორდის" პრეტენზიების შესახებ, რომელსაც ამჯერად უკვე აშკარად აღარ აკმაყოფილებს „ტრადიციული" მესამე ადგილი. გუნდს 1995 წლის შემოდგომაზე სათავეში ჩაუდგა ახლო წარსულში ფართოდ ცნობილი ფეხბურთელი, ჰოლანდიის ნაკრების წევრი არი ჰაანი. მან პირველივე სეზონიდანის დასკვნები გამოიტანა, რომ გუნდის განკარგულებაში არსებული ძალებით ვერც „აიაქსს" გაუწევდა კონკურენციას და ვერც „ეინდჰოვენს". საჭირო იყო მისი გაძლიერება და ეს ხელმძღვანელობამ გააკეთა კიდეც. „ფეიენოორდში" ამა თუ იმ მიზეზით (ძირითადად, ცხადია, არადამაკმაყოფილებელი თამაშის გამო) წასული თერთმეტი ფეხბურთელი შეცვალა ახალმა რვამ. გუნდს ჰყავს ეროვნული ნაკრების მეკარე დე გუი, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის მიიწვიეს პოლონელი დუდეკიც. დაცვას გააძლიერებენ არგენტინელი გრაფი, ბელგიელი კლაისი, ეგვიპტელი ფარეკი. თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდს ამ ხაზზე ჰყავს საჯარიმო დარტყმების უბადლო შემსრულებელი და ბრწყინვალე გადაცემების ოსტატი რონალდ კუმანი (კაპიტანი), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ „ფეიენოორდში" ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. მართალია ჰაანს, მკაცრი დისციპლინის მომხრეს, არ მოსწონს კუმანის ზედმეტად თვითნებური საქციელი (ამის უფლებას ვეტერანი ადრე საკუთარ თავს „ბარსელონაშიც" აძლევდა), საქმე აშკარა კონფლიქტამდეც კი მივიდა, მაგრამ შემდეგ ჩათვალეს, რომ კუმანი, თუმცა 33 წლისაა, გუნდისათვის მაინც საჭიროა. შუა ხაზი უნდა გააძლიერონ არგენტინელებმა სანჩესმა და ვან გასტელმა, რომელიც ტილბურგის „ვილჰელმ II-დან" გადმოვიდა. ჩვენს მკითხველებს ხშირად აინტერესებთ, რატომ აქვს ქ. ტილბურგის გუნდს ასეთი თავისებური სახელწოდება. საქმე ის არის, რომ გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შედეგად დამხობილი იმპერატორი ვილჰელმ მეორე ჰოლანდიაში გაიქცა და მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ქალაქ ტილბურგში ცხოვრობდა. ისე რომ, საფეხბურთო კლუბს სახელი სწორედ ამის გამო დაერქვა. „ფეიენოორდში" ახალი სეზონიდან ჩაირიცხა აგრეთვე გამოცდილი თავდამსხმელი ვოსი (იგი ადრე ფრანგულ „საშოში" გამოდიოდა) და ჭაბუკი პოლონელი საგანოვსკი, რომელიც მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს გახდება 18 წლისა. იგი დიდად პერსპექტიულ თავდამსხმელად ითვლება და უკვე მოასწრო ეროვნულ ნაკრებში თამაში.

მაშ ასე, ჰოლანდიის 1996-97 წლების ჩემპიონატში პირველ ადგილზე პრეტენზიას უკვე სამი გუნდი აცხადებს, ეს კი, გასაგებია, ბრძოლას უფრო საინტერესოდ ხდის.

გივი თორელი

„კოდაკომ" გუჯაბიძე ითხოვა, ჯერჯერობით ერთი წლით

როსტოვის „როსტსელმაშმა" თბილისის საფეხბურთო კლუბ „კოდაკოს", რომელიც ამჟამად საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში გამოდის, ერთი წლით ათხოვა მცველი გოჩა გუჯაბიძე (იგი 25 წლისაა).

რესპუბლიკის ეროვნულ ჩემპიონატში გუჯაბიძის დებიუტი შედგა 1990 წელს ლანჩხუთის „გურიის" შემადგენლობაში. 1992 წლიდან იგი გურჯაანის „ალაზანში" ირიცხებოდა. „მრეტები" – „ალაზანის" მატჩში მიიღო ფეხის უმძიმესი ტრავმა, რის გამოც წელიწადზე მეტი გაუცდა. მართალია გუჯაბიძემ „სამტრედიაში" 1994 წლის ბოლომდე დაჰყო, მაგრამ ვერა და ვერ აღიდგინა ჩვეული ფორმა. ბოლო ორი წელია იგი „როსტსელმაშის" საკუთრებაა. წელს არც უთამაშია: კლუბმა იგი ტრანსფერზე დააყენა. ბოლოს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გუჯაბიძე იჯარით „კოდაკომ" აიყვანა.

ფეხბურთის გულშემატკივართ შევახსენებთ რომ, „კოდაკოში" გამოდის კიდევ ერთი ცნობილი ფეხბურთელი მცველი დავით ცომაია. ასე რომ თბილისურ კლუბს, რომელსაც, ეტყობა, შორსმიმავალი გეგმები გააჩნია, საკმაოდ ძლიერი უკანა ხაზი აქვს – საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრები.

ბავშვთა ტურნირი ექსპერიმენტებით

საქართველოს სტადიონებზე გრძელდება ბავშვთა გუნდების ასპარეზობა „კოკა-კოლა კავკასიონის" თასზე. ამ დღეებში დასრულდება ასპარეზობა ზონებში და „ლელო" გამოაქვეყნებს შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ სფფ-ის თაოსნობით მატჩებში აპრობირებას გადის ორი ექსპერიმენტი — შეხვედრებს ემსახურება ორი მთავარი და ორი გვერდითი მსაჯი. თუ მოთამაშემ მიიღო წითელი ან ყვითელი ბარათი (ნებისმიერ მონაკვეთზე), მოწინააღმდეგე გუნდი საჯარიმო მოედნის რკალიდან ურტყამს საჯარიმოს (ცოცხალი კედელი არ დგება).

და კიდევ ერთი, თუ მეკარის ან მცველისაგან მოგერიებულმა ბურთმა პირითი ხაზი გადაკვეთა საჯარიმო მოედნის შიგნით, კუთხური დარტყმა იმავე წერტილიდან სრულდება.

რუსებმა მხოლოდ ბურთების შეფარდებით გაგვისწრეს

როგორც „ლელო" იტყობინებოდა, ორიოდე თვის წინათ საქართველოში ჩამოყალიბდა ყმაწვილთა (15 წლამდე) ნაკრები გუნდი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი ვახტანგ კოპალეიშვილი, რომელიც იმავდროულად ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა (18 წლამდე) ნაკრებსაც თავკაცობს.

აგვისტოში ყმაწვილთა გუნდმა ათდღიანი შეკრება გაიარა კაზრეთში, სადაც შეირჩა კიდევაც ნაკრების ძირითადი ბირთვი. წინა კვირას ჩვენი გუნდი რუსეთს, სახელდობრ, ფსკოვს სტუმრობდა. იქ ჩატარდა ოთხი ნაკრების ტურნირი: მასპინძელთა გარდა ქართველი ყმაწვილების მეტოქეები ლიტვისა და ბელარუსის თანატოლები იყვნენ.

ტურნირის 2 დღის ტექნიკური შედეგები ასეთი იყო:

საქართველო — რუსეთი 1-1
ლიტვა — ბელარუსი 2-2
საქართველო — ბელარუსი 3-1
რუსეთი — ლიტვა 1-1

ტურნირის ბოლო დღეს ქართველებმა ლიტველებთან ფრედ 0-0 ითამაშეს. მათი დაწევა შეეძლოთ მხოლოდ რუსებს. მათაც ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს და გაიმარჯვეს ბელარუსებთან, 7-0.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა ისეთნაირად შეადგინეს ბოლო დღის თამაშების განრიგი, რომ მასპინძლებს სცოდნოდათ, რა ანგარიშით უნდა დაემთავრებინათ ბოლო მატჩი.

აი, როგორი შედეგებით დამთავრდა ფსკოვის საერთაშორისო ტურნირი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რუსეთი	3	1	2	0	9-2	5
საქართველო	3	1	2	0	4-2	5
ლიტვა	3	0	3	0	3-3	3
ბელარუსი	3	0	1	2	3-12	1

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● მიუხედავად იმისა, რომ „მილანმა" ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩი დათმო „პორტუსთან" (2-3), ლონდონის ბუკმეკერთა შორის იტალიის ჩემპიონის აქციები მაინც მაღალია (2-1). „მანჩესტერ-სიტისთან" გამარჯვების შემდეგ გაიზარდა „იუვენტუსის" აქციებიც. მკვეთრად აიწია პორტუგალიის „პორტუს" რეიტინგმაც.

● საოცრად ჭირვეულ ხასიათს ავლენს რომარიო. ახლა მას მორიგი კონფლიქტი მოუვიდა „ვალენსიის" მთავარ მწვრთნელთან და „ფლამენგოს" ხელმძღვანელებს შეუთვალა დამაბრუნეთ უკან ბრაზილიაშიო.

● ბოიკოტი, რომელიც ხრისტო სტოიჩკოვმა გამოუცხადა ბულგარეთის ნაკრებს, გრძელდება და არ შეწყდება მანამ, სანამ არ შეიცვლება ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობა. ამასობაში კი სტოიჩკოვის გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი წააგო ისრაელში — 1-2. სტოიჩკოვის განცხადებით, უმჯობესია, ნაკრებმა წააგოს რამდენიმე მატჩი, ვიდრე მორჩილად უყურო იმას, თუ როგორ ამსხვრევენ ფეხბურთის ტრადიციებს ბულგარეთში მისი დღევანდელი ხელმძღვანელები. სტოიჩკოვი მზადაა შეხვდეს ნაკრების ახალ მწვრთნელს და მასთან ერთად განიხილოს შექმნილი მდგომარეობა ამ მიზნით. მან მიიწვია მწვრთნელი ბარსელონაში.

● იტალიის მართლმსაჯულებას მიაჩნია, რომ ბოროტი ხულიგნობა მინდორზე ზუსტად ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც ცხოვრებაში. ასეთი დასკვნა გააკეთა მოსამართლე რობერტო ჩანკიმ, რომელიც არჩევს სალვატორე ფრეზის („ინტერი") საქმეს. ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში, რომელიც უდინეში ჩატარდა, ფრეზიმ შეგნებულად მიაყენა მძიმე ტრავმა „უდინეზეს" ნახევარმცველ ჯოვანი ტროპის, რომელიც სულ ცოტა 40 დღით გამოყვანილია მწყობრიდან.

● პოლონეთის ქალაქ ზაბჟეს სასამართლომ სამ გერმანელ გულშემატკივარს სამ-სამი წლით პატიმრობა და 600-600 ზლოტის ჯარიმა მიუსაჯა (222-222 დოლარი). საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრის დროს ეს სამი გერმანელი ახალგაზრდა ნაცისტური ჟესტიკულაციითა და ანტიპოლონური ლოზუნგებით დააბიჯებდნენ ქალაქის ქუჩებში.

● პირველი უცხოელი ფეხბურთელი, რომელიც მიიწვიეს ალბანეთში, არის ბრაზილიელი კარლოს ედუარდო კასტრო დე სოუზა, ან უფრო მარტივად, ედუ. იგი ითამაშებს უმაღლესი ლიგის დებიუტანტის — „ლუშნიას" შემადგენლობაში. ედუს, რომელიც გამოდიოდა „ფლამენგოში", კვიპროსისა და საბერძნეთის სხვადასხვა კლუბებში ბრაზილიის იუნიორთა და ახალგაზრდულ ნაკრებში 36 მატჩი აქვს ჩატარებული. „ლუშნია" ბრაზილიელ ლეგიონერს წელიწადში 50 ათას დოლარს გადაუხდის.

ფორცა, ვიალი!

ჯანლუკა ვიალი ჩელსის პოტელის ბაღში ზის და კათხა ლუდს მიირთმევს. ცხელი დღეა, მზე საშინლად აჭერს. გუნდის წევრებთან ერთად ჰიტროუს აეროპორტის მახლობლად მდებარე სტადიონზე თამაშის შემდეგ ვიალი, ალბათ, იმსახურებს დალევას, მეტიც, საჭიროებს ამას. ერთი ღერი „მარლბოროც" არ იქნება ურიგო, რომელსაც გულის ჯიბით ატარებს.

მომავალი ექვსი კვირის განმავლობაში ფეხბურთელს სახლის მაგივრობას სასტუმრო გაუწევს. რუუდ გულიტი — მისი ახალი მენეჯერი ფიქრობს, რომ აღნიშნული დროის მანძილზე ჯანლუკა ხელს მოაწერს კონტრაქტს ინგლისის პრემიერლიგის პოპულარულ გუნდ ჩელსისთან. მის გარდა კიდევ ორი ფეხბურთელი რობერტო დი მატეო და ფაბრიციო რავანელი გადავიდა იუვედან, მაგრამ პრესისა და ტელევიზიის ყურადღება ჯანლუკაზეა კონცენტრირებული. ჩელსის გულშემატკივრები კი გაზეთებში წაკითხული ინფორმაციის მიუხედავად ეჭვობენ, რომ სტამფორდ ბრიჯის სტადიონზე სათამაშოდ გამოვა არა ჯანლუკა ვიალი, არამედ პოლ ფურლონგი.

„მე მომწონს ჩელსი, იგი ძალიან წყნარია" — ამბობს ვიალი, რომელიც ამ ფრაზაში სიმყუდროვეს უფრო გულისხმობს. „ეს სწორედ ისაა, რასაც ვეძებდი. იტალიაში ცნობილი ადამიანი ყველას ყურადღებას ვიპყრობ. ვგრძნობ, აქ უფრო წყნარად ვიქნები. მე ვაფასებ ამ ხალხის ზრდილობას. იმედია, ბევრს ვისწავლი და გავიმდიდრებ გამოცდილებას".

მას შემდეგ, რაც გასულ სეზონში იუვენტუსს ევროპის ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა, კლუბმა აცნობა მას, რომ კონტრაქტს მხოლოდ ერთი წლით გააგრძელებდა დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

„ჩემი თავმოყვარეობა ცოტა არ იყოს შეილახა" — ილიმება არდადეგების დროის გვარიანად გარუჯული ჯანლუკა. „მე ვთვლი, რომ იუვენტუსს უნდა ეთხოვა ჩემთვის იქ დარჩენა, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს და მოხარული ვარ, რომ ოცდათორმეტი წლის ასაკში მეძლევა შანსი ცხოვრების შეცვლისა და ახალი გამოცდილების შეძენისა. მე მომწონს ინგლისელი ხალხის მენტალიტეტი. გუნდის წევრები მოუთმენლად მელიან და მეც ჩემი მხრიდან, ვეცდები, ბევრი რამ შევძინო მათ.

თავიდან ყველა არჩევანი ბრძნული გვეჩვენება. შეიძლება ჩელსი არ არის ისეთი პოპულარული, როგორიც არსენალი ან ტოტენჰემია, მაგრამ ეს უფრო მეტ სტიმულს მაძლევს. სხვა რომ არა იყოს რა, ლონდონის ამ მშვენიერ ნაწილში ცხოვრებაც ბევრად უკეთესია".

— ინგლისში გადასვლა მეორე ალტერნატივა იყო ვიალისათვის — ამბობს ჯანკარლო გალავოტი იტალიურ გაზეთ La Gazzetta delo Sport- ისათვის მიცემულ ინტერვიუში. „მას უნდოდა არსენალში თამაში, მაგრამ არავის დაურეკა ასაკის გამო. იგი იუვენტუსის პოპულარული მოთამაშე იყო. ეს უკანასკნელი კი უფრო დიდია, ვიდრე რომელიმე კარგი მოთამაშე. თუმცა, უნდა ითქვას, ჯანლუკა რომ არ გაეშვათ, ყველაფერი უკეთესად იქნებოდა ახალი სეზონის დასაწყისში".

აღსანიშნავია, რომ ჩელსის გარდა სხვა გუნდებიც იყვნენ დაინტერესებულნი ჯანლუკა ვიალით. გლაზგო რეინჯერსმა სამწლიანი კონტრაქტი და 1,8 მილიონი ფუნტი სტერლინგი შესთავაზა სეზონში, მაგრამ მან ლონდონში ცხოვრებას მიანიჭა უპირატესობა და კონტრაქტი ჩელსისთან გააფორმა, 1,4 მილიონი ფუნტი სტერლინგის ანაზღაურებით. ეს ფაქტი შეურაცხყოფად მიიღო რეინჯერსის პრეზიდენტმა ფინლეიმ და გაზეთში "News of the World" მკაცრად განაცხადა: „ის, ვინც უარყოფს ისეთ კლუბს, როგორიც რეინჯერსია, იშვიათად აღწევს წარმატებას".

მაგრამ ფეხბურთელმა უკვე მოიპოვა წარმატება. შეიგრძნო მსოფლიოს საუკეთესო გოლეადორის წოდების მინიჭებით გამოწვეული სიამაყისა და სიხარულის განცდა; სერია A-ში 325 თამაშში გაიტანა 123 გოლი, ხოლო იტალიის ნაკრებში 59 მატჩში — 16. მას ევროპის სამივე მნიშვნელოვან ტურნირებში — ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი, უეფას თასი — აქვს წარმატება მიღწეული. იტალიურმა პრესამ ჯანლუკა ვიალის იტალიის ფეხბურთის ცოცხალი ემბლემა უწოდა.

კარიერის მიწურულსაც შთამბეჭდავია ფეხბურთელის გამოჩენა მოედანზე. თამაშის სტილი, თავდადება დიდ ზეგავლენას ახდენს თითოეულ მოთამაშეზე. ვიალი, იურგენ კლინსმანის მსგავსად მარტო გოლების კოლექციონერი როდი გახლავთ, იგი მდიდრდება ყოველ მატჩში შეძენილი გამოცდილებით.

ყველა გუნდში თამაშისას გამოირჩევა თავდამსხმელებთან პარტნიორობის გასაოცარი უნარით. გაიხსენეთ ვიალისა და რობერტო მანჩინის (სამპდორია), ვიალისა და ფაბრიციო რავანელის (იუვენტუსი) დუეტი.

ახლა იგი ჩელსის ინტერესებს იცავს, გუნდისა, რომელმაც უკანასკნელად 1955 წელს მოიპოვა ლიგის ჩემპიონის წოდება და რომლის ყველაზე დიდი წარმატება გახლდათ თასების მფლობელთა თასის მოპოვება 1971 წელს.

დიდი ბრიტანეთის გუნდში იხსენებენ იქ მოთამაშე ვარსკვლავებს: გულიტს, ბერგკამპს, კანტონას, კლინსმანს..., რომელთაც ინგლისურმა ფეხბურთმა მისცა თავისუფალი მოქმედებისა და დიდი ფულის შოვნის შანსი.

„აქ თამაშობდნენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ევროპამ უკვე უმომავლოდ ჩათვალა" — ამბობს ჯანკარლო გალავოტი. „კანტონა უარყო გუნდმა, რადგან „ჭეშმარიტად" გამოუსადეგარი იყო საფრანგეთისათვის, კლინსმანი უპერსპექტივო მოთამაშედ მიიჩნია იტალიის ინტერმა. მონაკომ და საერთოდ ყველამ. აი, ჩამოვიდნენ ინგლისში, გაახალგაზრდავდნენ და დაიწყეს ახალი ცხოვრება. ჯანლუკას, ალბათ, თავი ზღაპარში ეგონება, როცა ამხელა თავისუფლებას შეიგრძნობს".

ერთადერთი მიზეზი იუვენტუსიდან რავანელის წასვლისა გახლავთ ის, რომ მას უკეთესად ეპყრობიან მიდლსბროში. ამ ფაქტით გაოცებული ვიალი ამბობს: „ეს ამბავი არდადეგების დროს გავიგე და გავვოცდი. მეგონა, მომავალ სეზონში რავანელი გუნდის კაპიტანი გახდებოდა. ის ხომ რაღაც ოთხი წელია, რაც იქ თამაშობს. უცნაურია მისი ინგლისში გადასვლა და იტალიაში შექმნილი კარიერის მიტოვება.

ფაბრიციო რავანელის მიდლსბროში გადასვლა (ბრაიან რობსონი ვიალის გადაბირებასაც ცდილობდა), რობერტო დი მატეოს, ჯანინის, ფაუსტინო ასპრილიას ჩამოსვლა ინგლისში შესაძლებლობას აძლევს პრემიერლიგას იტალიურ გუნდებს უძლიერესი მოთამაშეებისა და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების ავტოგრაფების სიმრავლეში გაეჯიბრონ.

ინგლისელი მაყურებელი უეჭველად შეიყვარებს ვიალის, იგი ხომ სწორედ ისეთი ფეხბურთელია, გულშემატკივარს რომ ხიბლავს: თავდადებული, ტემპერამენტიანი და, რაც მთავარია, ლამაზი გოლების უბადლო ოსტატი.

პრემიერლიგაში მისი თამაში კიდევ უფრო დაიხვეწება, რადგან აქ მოქმედების ფართო არეალია.

ჯანლუკას მკაცრი სახე გალეონზე (მეკობრეების გემი) გადმომდგარ გაცოფებულ მეკობრეს ჰგავს — მოედანზე პატიოსანი თამაშის ეჭვს ბადებს. წარმოიდგინეთ რა შთამბეჭდავი იქნება გასახდელიდან პირში დაშნაგაჩრილი ვიალის გამოჩენა.

იტალიაში ყოფნისას დიდი ნაცნობობა არ აკავშირებდა რუუდ გალიტთან, მაგრამ ისინი აუცილებლად გამონახავენ საერთო ენას,

ჯანლუკა ვიალი

რადგან ორივე განათლებული და დიდი გამოცდილების ადამიანია.

„ვიალი მიზანდასახული პიროვნებაა, არ არსებობს მიილოს შეთავაზებული სტრატეგია, თუ იგი მის აზრებსა და პრინციპებს ეწინააღმდეგება. თავის შეხედულებებს კბილებით იცავს. ის მდიდარი ოჯახიდანაა, აქვს უმაღლესი განათლება, ბევრს კითხულობს და კამათობს ისეთ თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, სიტუაცია პალესტინაში".

ჯანლუკა ვიალი ყველაზე უმცროსია ხუთ და-ძმას შორის — ვიალებს ეკონომიკურად ძლიერი ოჯახი ჰქონდათ, ზაფხულს XVII საუკუნის ციხესიმაგრეში ატარებდნენ. მამამისი, ჯანფრანკო, ქალაქ კრემონეზეს ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის მმართველი გახლდათ. პატარა ვიალიმ, რომელიც ბრწყინვალე ათლეტი იყო და სპორტის თითქმის ყველა სახეობაში უნიწასწარმეტყველებდნენ წარმატებას, არჩევანი ფეხბურთზე შეაჩერა. 16 წლისა ჩაირიცხა კრემონეზეს გუნდში, რომელსაც მამამისის მეგობარი ედგა სათავეში. მალე ოცი წლის ფეხბურთელმა ოთხი წლის მანძილზე გატანილი გოლების რაოდენობით სამპდორიას ყურადღება მიიპყრო და 1,8 მილიონ ფუნტ სტერლინგიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მისი წამყვანი მოთამაშე გახდა.

ტრადიციულად სამპდორია სერია "A"-ს უილბლო გუნდი იყო. 70-იანი წლების ბოლოს იგი ნავთობწარმოების მაგნატმა პაულო მანტოვანიმ შეისყიდა. ამბიციებით შეპყრობილი მანტოვანი ფულს არ ზოგავდა, ალმერთებდა ინგლისელ ფეხბურთელებს, იყიდა ტრევორ ფრენსისი, გრემ საუნესი და ლუთერ ბლისეტი. ვიალიგენოაში 1984 წელს ჩავიდა. ფეხბურთის ქვეყანაში, სადაც უამრავი სატელევიზიო პროგრამა და სპორტული გაზეთი გამოდიოდა, სპორტსმენებს არ ეძლეოდათ თავისუფალი ცხოვრების საშუალება. ეს ქალაქი ზედმიწევნით შესაფერისი იყო თავგადასვლების მაძიებელი ვიალისათვის.

„არასოდეს დამავიწყდება სამპდორიაში გატარებული რვა წელი. მთელი გუნდი ერთი ოჯახივით ვიყავით, ყველგან ერთად დავდიოდით და დროსაც კარგად ვატარებდით" — ამბობს ვიალი.

1990-91 წლებში სკუდეტოს მოგებით სამპდორიამ დაანგრია მილან-ტურინის ბატონობა სერია "A"—ში. დიდი წვლილი ამაში ჯანლუკას მიუძღოდა. ლიგაში მას ყველაზე მეტი გოლი (19) ჰქონდა გატანილი. 1992 წელს ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში სამპდორიამ წააგო ბარსელონასთან. ამ მარცხს ვიალი საკუთარ თავს აბრალებდა.

იმ ზაფხულს იუვენტუსმა 12 მილიონი ფუნტი-სტერლინგი გაიღო ფეხბურთელის მომსახურეობის ხარჯების დასაფარავად. ეს სარეკორდო თანხა მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ მოხსნა მილანმა — ტორინოდან 13 მილიონად იყიდა ჯანლუიჯი ლენტინი.

მაშინ, როცა იტალიური ფეხბურთის იუვენტუსი მომძლავრდა, ფეხმოტეხილმა ვიალიმ პირველი ორი სეზონი სტადიო დელა ალპაში გაატარა. 1994-95 წლებში კი მან დიდ წარმატებებს მიაღწია, რის გამოც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

გასულ სეზონში იუვენტუსმა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში იმარჯვა.

„ვიალი იდეალური პიროვნებაა" — ამბობს დევიდ პლატი, —ძლიერი, გამოცდილი, შეუდარებელი გოლეადორი, მას თამაშის საოცარი ტაქტიკა აქვს. ყოველთვის ენთუზიაზმით, ოპტიმიზმით გამოირჩევა და გუნდის წევრებსაც იყოლიებს. მე ვამაყობ იმით, რომ ჯანლუკა ვიალის მეგობარი ვარ.

იგი იშვიათი მოვლენაა ინგლისურ ფეხბურთში. თუმცა გამჭრიახი გონება და დიდი ნიჭი აქვს, არ შეიძლება არ ინერვიულო იმაზე, თუ როგორ შეეწყობა ახალ გარემოს. მოეწონება კი ინგლისური კერძები, მსაჯების გულგრილობა, გასახდელებისათვის დამახასიათებელი აურ-ზაური. სუნთქვა მეკვრის, როცა ვფიქრობ, რომ იანვარში საფეხბურთო ასოციაციის თასის გათამაშების მატჩებში უხეში ფეხბურთელების ქვეშ მოყოლილმა ვიალიმ შეიძლება ისევ ალესანდრო კოსტაკურტასა და ამედეო კარბონის მუჯლუგუნი ირჩიოს და იტალიაში დაბრუნება ინატროს".

„ამას არც ვნაღვლობ" — ამბობს გარუჯული ვიალი და აპრიალებული მაკაგონის მსგავს თავს დაბლა ხრის, — მცველები ყველგან ერთნაირები არიან".

ჟურნალიდან "Esquire" („ბატონი" 1996 წლის სექტემბერი №7).

თარგმნა **თიკა გილაშვილმა**

მათიას ზამერი — გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი



1995-96 წლების საფეხბურთო სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია დორტმუნდის „ბორუსიისა" და გერმანიის ეროვნული ნაკრების „ლიბერო" მათიას ზამერი. ცნობილი სპორტული ჟურნალის „კიკერის" მიერ მოწყობილ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 875 გერმანელმა ჟურნალისტმა. მათ შორის, 166-მა ხმა მისცა ზამერს, 154-მა — იურგენ კლინსმანს, 91-მა — ანდრიას კეპკეს.

შეგახსენებთ, მათიას ზამერის საფეხბურთო კარიერა დაიწყო აღმოსავლეთ გერმანიის კლუბ „დინამოში" (დრეზდენი). მას შემდეგ, რაც დაიმსხვრა ბერლინის კედელი, იგი „შტუტგარტში" გამოდიოდა, ბოლოს კი — დორტმუნდის „ბორუსიაში", რომლის შემადგენლობაშიც ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

სურათზე: *მათიას ზამერი*

ჯერჯერობით ცნობილია 13 ქვეყანა

27 სექტემბერს ბარსელონის სასტუმრო „პალას სენ-ხორდიში" გაიმართება მინიფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრა. დღეისათვის ცნობილია იმ ცამეტი ქვეყნის ვინაობა, რომლის ფეხბურთელებმა ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს. ესენი არიან: მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია, მასპინძელი ქვეყანა — ესპანეთი, აგრეთვე, ჩინეთი, ირანი, მალაიზია, არგენტინა, ურუგვაი, ავსტრალია, ბელგია, ჰოლანდია, იტალია, რუსეთი და უკრაინა. ვაკანტური დარჩა სამი ადგილი, ერთი აფრიკისათვის და ორი ცენტრალური და ჩრდილო ამერიკისთვის.

უფრო დაწვრილებით — «სუფთა კარაქზე» შემწვარი ნოკდაუნი

ლას-ვეგასში ტაისონ-სელდონის ორთაბრძოლამდე ერთი დღე რჩებოდა, როცა აწონვის ტრადიციული რიტუალის დროს ორივე მოკრივის პატრონი დონ კინგი ეცა და ხელები მაღლა აუწია, აბა ეს იყო სანახაობა — სამი სამართალდამრღვევის ერთიანობა! კაცმა რომ თქვას, აქ ძახილის ნიშანი კი არა, ორი წერტილი უნდა დაგვესვა, რამდენადაც უნდა განგვემარტა, თუ რატომ გახლდნენ სამართალდამრღვევნი: ბრიუს სელდონი, ძარცვისათვის „იჯდა", მაიკ ტაისონი — გაუპატიურებისათვის, დონ კინგი — მკვლელობისათვის (ეს უკანასკნელი შეიძლება ისევ მოხვდეს საპატიმროში გადასახადების გადაუხდელობისათვის).

საერთოდ, ახლანდელ პროფესიულ ამერიკულ კრივში საყურადღებო როტაციის მოწმენი გავხდით: ციხე — რინგი — ციხე ან რინგი — ციხე — რინგი.

შეჯიბრების წინ ტაისონს ირონიულად შეუნიშნავს: სელდონს ჩემთან მარტო ერთი უპირატესობა აქვს — თავისი სასჯელი უკვე მოიხადა, მე კი მოსახდელი მაქვს, პირობით გამანთავისუფლესო. მართლაც, ლას-ვეგასში რინგზე საბრძოლველად გამგზავრება მაიკმა შეძლო მხოლოდ სასამართლოს ნებართვით. ალბათ უნიკალური შემთხვევაა, როცა თემიდამ ოფიციალურად დართო ნება სისხლის სამართლის დამნაშავეს, რომ სხვა ქალაქში გამგზავრებულიყო და ასევე თემიდას სანქციით ლამის სასიკვდილოდ გაელახა მეორე ასეთივე დამნაშავე!

„ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან თუ რით დამთავრდა ეს პაექრობა. დაწვრილებით იმის თქმა შეიძლება, რომ ტაისონმა მეტოქე ორჯერ „მიანოკდაუნა". პირველი ნოკდაუნი მაყურებელს ფიქციად მოეჩვენა, რეფერის ისიც კი უფიქრია, სელდონს ფეხი დაუცურდაო და მხოლოდ ბრიუსის უაზრო თვალების დანახვაზე დაუწყია ათვლა. მეორე ნოკდაუნი „სუფთა კარაქზე" შემწვარ ტაისონის საფირმო ჰუკს მოჰყოლია, მარცხენა ხელით მირთმეულს. სელდონს წამოდგომა კი მოუხერხებია, მაგრამ აღარც ფეხები ემორჩილებოდა, აღარც თავი და შეხვედრაც სამართლიანად შეწყვიტეს.

ლას-ვეგასში ამ შერკინებისათვის ტაისონმა 30 მილიონი დოლარი მიიღო, სელდონმა — 5, ლიუისმა — 4 მილიონი. ეს მესამე რაღა შუაშია, იკითხავს მკითხველი. საქმე ისაა, რომ ტაისონი მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონია WBC-ის ვერსიით, სელდონი იმავე წონით კატეგორიაში აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონია, ოღონდ WBA ვერსიით. WBC-ის წესებით, ტაისონს არ შეეძლო სელდონთან კრივის გამართვა, სანამ ტიტულზე პირველ პრეტენდენტს არ შეხვდება. ლენოქს ლიუისი კი სწორედ ასეთი პრეტენდენტია და მისი პრიორიტეტიც სასამართლომაც დაადასტურა (როგორც ხედავთ, აშშ-ში კრივი და სასამართლო „დაძმობილებულები" არიან...); ამიტომაც მიართვეს ლიუისს დასაშოშმინებელი 4 მილიონი.

მოამზადა *თამაზ ებანოიძე*

კეთილი ნების ადამიანები — სპორტს!

ეს დევიზი პირველად რეალობად ამერიკელმა მილიონერმა ტედ ტერნერმა აქცია, როცა სათავე დაუდო კეთილი ნების თამაშების ჩატარებას. მაგრამ სპორტის შემწეთ და სამაგალითო პროპაგანდისტებს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე. სასიამოვნოა, რომ ერთი ლამაზი სპორტული ღონისძიება ამ დღეებში თბილისშიც ჩატარდა საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია „სხივის" თაოსნობით და იგი აღორძინებული ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავს მიეძღვნა. თანაც რა მოხდენილი დევიზი შეარჩიეს: „ოლიმპიზმი — ყველასათვის". ფაქტობრივად ეს იყო კეთილი ნების ადამიანთა მძლეოსნური გარბენი — „თბილისის წრე".

როგორღაც სიმბოლურია, რომ გარბენის მონაწილენი ასპარეზობის დაწყებამდე შეიკრიბნენ აშშ-ის საელჩოში, იმ ქვეყნის დიპლომატებთან, რომელთა ჩვენდამი კეთილგანწყობა საყოველთაოდაა ცნობილი. „სხივის" პრეზიდენტმა თამაზ ბიბილურმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა აშშ-ის უდიდეს ღვაწლს თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში, რისი დასტური თუნდაც ისიცაა, რომ ამ ქვეყანამ სამჯერ უმასპინძლა ოლიმპიადას, რაც თავისებური რეკორდია. „ჩვენ გამოვედით ინიციატივით „ოლიმპიზმი — ყველასათვის"!" სახალხო დიპლომატიისა და მასმედიის საშუალებითაც დავამკვიდროთ, ხშირად ჩავატარებთ სხვადასხვა სპორტულ პროპაგანდისტულ ღონისძიებებს"— თქვა თამაზ ბიბილურმა.

ამერიკის საელჩოს სახელით ქალბატონმა რებეკა დოკერმა, მადლობა გადაუხადა ინიციატორებს და აღნიშნა, რომ თუ დევიზს „ოლიმპიზმი— ყველასათვის!" ადამიანები გულთან ახლოს მიიტანენ, თბილისი ოლიმპიზმის პროპაგანდის სანიმუშო ქალაქად იქცევა.

... ერთი, ორი, სამი... გაისმა ქართულად ამერიკის საელჩოს ეზოში ქალბატონ რებეკა დოკერის ხმა და სტარტზე იქვე მდგარი გარბენის მონაწილენი გზას გაუდგნენ. მარშრუტი ასეთი იყო: აშშ-ს საელჩო — მეტეხი — ეროვნული სტადიონი — გმირთა მოედანი — თავისუფლების მოედანი — ბარათაშვილის ხიდი — აშშ-ს საელჩო.

გარბენის ორგანიზატორები და მონაწილენი მადლობას უხდიან თბილისის მერიას და საგზაო პოლიციას, პირადად ვიცე-პოლკოვნიკ თემურ ჯანჯღავას, გარბენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

„ლელოს" კორ.

სურათზე: გარბენის მონაწილენი თბილისის ქუჩებში.

გ. კეკელიას ფოტო

მოკრივეებმა დაიწყეს

თბილისის ცირკში დაიწყო საქართველოს პირველობა კრივში, რომელშიაც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ოსტატები მონაწილეობენ. პირველ დღეს 17 ორთაბრძოლა გაიმართა. აი შედეგებიც: ლ. იოსელიანმა (მესტია) მოუგო ა. კაშიას (ქუთაისი), მ. მაკარიძემ ლ. ამბალისს (ორივე — ფოთი), კ. გოგოლაძემ (ფოთი) ლ. ხარატიშვილს (თელავი), ბ. მანჯავიძემ ქ. რურუას (ორივე — თბილისი), კ. ტყებუჩავამ (რუსთავი), ა. კუდბას (ბათუმი), ო. ნავაძემ თ. ხდრიან (ორივე — თბილისი), გ. კაპანაძემ (თბილისი) კ. კუსიანს (ფოთი), ზ. ბაზაძემ (თბილისი) შ. ფალიანს (მესტია), ზ. ხურცილავამ (ფოთი) გ. წერედიანს (მესტია), კ. მუმლაძემ (ჭიათურა) გ. ვარძელაშვილს (თეთრი წყარო), თ. მესხაძემ (ქუთაისი) მ. მელიანს (მესტია), დ. ქრისტესიაშვილმა (თბილისი) დ. მელაძეს (ზესტაფონი), რ. ბოჭორიშვილმა (თბილისი) გ. გამგონეიშვილს (ქუთაისი).

ქველებურად, ბიჭებო, ქველებურად!

15 სექტემბერს ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო ვეტერან ფეხბურთელთა მეორე საერთაშორისო ტურნირი აჭარის თასზე. პირველი ტურნირი ჩატარდა 1994 წლის იანვარში და მიეძღვნა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის 120 წლისთავს. მაშინ თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელთა გუნდმა გაიმარჯვა.

ამჟამად ტურნირში თბილისისა და ბათუმის გუნდებთან ერთად მოსკოვის „სპარტაკის" და რუსეთის ფედერაციის ნაკრების ვეტერანებიც მონაწილეობენ.

ფეხბურთის მოყვარულებს კიდევ ერთხელ მიეცათ საშუალება მწვანე მინდორზე ისილონ საბჭოთა ფეხბურთის ისეთი აღიარებული ვარსკვლავები რუსეთიდან და საქართველოდან, როგორებიც არიან ანდრეი იაკუბიკი, ალექსანდრე ბუბნოვი, ალექსანდრე მახოვიკოვი, ვიქტორ პაპაევი, ალექსანდრე მირზოიანი, სერგეი ნოვიკოვი, გენადი მოროზოვი, ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველიძე, მანუჩარ მაჩაიძე, თამაზ კოსტავა, ნოდარ ხიზანიშვილი, ვახტანგ ქორიძე და რევაზ ჩელებაძე...

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, რომელსაც აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სულიკო ხაბაძე ხელმძღვანელობს, ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებისათვის ათამდე პრიზია დაწესებული. მათ იმ ცნობილი ბათუმელი ფეხბურთელების სახელები აქვთ მიკუთვნებული, რომლებიც დღეს უკვე აღარ არიან. ეს კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ზრუნვისა ფეხბურთის პოპულარიზაციისათვის, ფეხბურთელთა ხსოვნის უკვდავყოფისათვის.

ბოლო მატჩში დაგეგმილია ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ბათუმისა და თბილისის დინამოელთა მეკარის ასლან ბალაძის საზეიმო გაცილება.

ტურნირი გახსნა აჭარის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ თენგიზ ბოლქვაძემ.

მონაწილეებს და მაყურებლებს მიესალმა ცნობილი სპორტული კომენტატორი ნიკოლაი ოზეროვი.

პირველ მატჩში, რომელშიც ერთმანეთს თბილისისა და ბათუმის თანაკლუბელები ხვდებოლნენ, ბურთი თამაშში შეიყვანა სპორტის ლამსახურებულმა ოსტატმა, ამჟამად რუსეთის ვეტერანთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, გენერალ-მაიორმა იური სირკოვმა.

ობიექტური ბათუმელი გულშემატკივრები გაშითა და შეძახილებით პასუხობდნენ როგორც საკუთარი, ისე თბილისელი ფეხბურთელების ყოველ მეტევას, ლამაზ ფინტს, მახვილგონიერულ გადაცემას. ამ მატჩში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო. მანუჩარ მაჩაიძე და თენგიზ სულაქველიძე ისევ ისე ძველებურად ბრწყინავდნენ.

ნოდარ ხიზანიშვილის და თენგიზ სულაქველიძის ორმა გოლმა გამარჯვება თბილისის ვეტერან ფეხბურთელებს მოუტანა.

მეტად საინტერესო იყო რუსეთის ნაკრებისა და „სპარტაკის" ვეტერან ფეხბურთელთა მატჩიც. გუნდები ისეთი სპორტული ჟინითა და გატაცებით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის, რომ ასაკოვან გულშემატკივრებს საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩებიც კი გაახსენა.

თამაში სპარტაკელთა გამარჯვებით დამთავრდა. ერთადერთი გოლი რუსეთის ნაკრების კარში იური ივანოვმა გაიტანა.

დავით ბარამიძე

27 სექტემბერი ტურიზმის საერთაშორისო დღეა!

მოსწავლე-ახალგაზრდობის ტურიზმის რესპუბლიკური ცენტრი მოუწოდებს სასწავლო ორგანიზაციებს ამ დღესთან დაკავშირებით მოაწყონ ექსპედიცია დევიზით: *„ერთი დღე ტურისტული ბილიკებით!"*

რეკომენდირებულია: ტურისტული გასეირნებები (6 წლის ასაკიდან), ერთდღიანი ლაშქრობები (10 წლის ასაკიდან), ლაშქრობები 1 ღამის თევით (14 წლის ასაკიდან). მსურველებს ცენტრი (ი. ჯავახიშვილის, 118, ტელ: 95-22-71; 95-64-92) სთავაზობს კონსულტაციას, და მეთოდურ ლიტერატურას, სურვილის მიხედვით ინსტრუქტორის თანხლებას.

ლაშქრობის შემდეგ სასურველია ცენტრში გამოიგზავნოს ლაშქრობის ანგარიში დანართი (მონაწილეთა სია, რუკა, მითითებული უნდა იყოს მონახულებული ადგილები, კილომეტრაჟი, სასურველია ფოტომასალების წარმოდგენა).

საუკეთესო ტურისტული ჯგუფი დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით და მათთვის მოეწყობა უფასო ექსკურსია.

დირექცია

თბილისში, დიღმის მასივში (147-ე საშუალო სკოლის გვერდით) მუშაობა განაახლა საცურაო აუზმა. ყალიბდება გამაჯანსაღებელი ჯგუფები. აუზი უზრუნველყოფილია თერმული ცხელი წყლით.

შპს ფირმა „ორიონი" „თერმული სამკურნალო წყალი".

კროსვორდი



თარაზულად: 5. მოსკოვის „ლოკომოტივში" მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი, 7. ფეხბურთის მოედანი, 8. გერმანიის ცნობილი საფეხბურთო კლუბი, 11. საფარიკაო იარაღი, 12. მოჭადრაკე — ცნობილი უცხოელი დიდოსტატი, 13. კანტორის თანამედროვე სახელი, 16. ფეხბურთელი — მსოფლიო ჩემპიონი, ინგლისელი მეკარე, 17. მერანის სახელი კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთ რომანში, 21. რაიმე თარიღთან დაკავშირებული შეკრება, 22. მოჭიდავე — მსოფლიო ჩემპიონი (აშშ), 23. სახტომ სექტორში თამასის გასადები, 26. სპორტულ ღონისძიებათა განრიგი, 27. სპორტულ ღონისძიებებზე სრული დასწრება, 28. ფეხბურთელი — მსოფლიო ჩემპიონი (გერმანელი ნახევარმცველი).

შვეულად: 1. ორადგილიანი ველოსიპედი, 2. ზუგდიდის „ოდიშის" ფეხბურთელი — ახალგაზრდული ნაკრების წევრი, 3. ცრუ მოძრაობა, 4. ერთი სამი მუშკეტერთაგანი, 6. ფორმულა-1-ში მონაწილე გუნდი, 9. მთამსვლელობა, 10. გერმანელი ფეხბურთელი — ევროპის ჩემპიონი (1992), 14. ცნობილი ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი, 15. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი. 18. მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, 19. სანიჩბოსნო ნაგებობა, 20. ცნობილი საფეხბურთო კლუბი მეზობელ ქვეყანაში, 24. ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, 25. სპორტის სახეობა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული შერეული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. შეკრება, 6. ლატარია, 8. აბანო, 10. ბროლი, 11. რიონი, 14. „ალგა", 16. რაფაელი, 17. ბანი, 18. იაფი, 19. ობოლი, 22. ჩირი, 23. ჭრებალო, 25. იჯრა, 28. ტაიმი, 29. ადამი, 30. ხრიკი, 32. იანვარი, 33, არაბეთი.

შვეულად: 1. ერემია, 2. აბრა, 3. კალო, 4. თამარი, 5. „შევროლე", 7. აფონინი, 9. „ალია", 12. ფაიფური, 13. ალუბალი, 15. ალიბი, 17. ბრინჯი, 20. გიგაური, 21. კრამიტი, 24. ბაქი, 26. კიროვი, 27. ყალიბი, 30. ხარი, 31. იორი.

საჭადრაკო ეტიუდი

ფ. ზაკმანი

(1924 წ.)

თეთრები იწყებენ და აღწევენ ფრეს

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ტელ 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.

„ლელოს" საშაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები მ. წოწორია, ნ. რამიშვილი, გ. სურმავა